№5 2011

მასწავლებელი

მასწავლებლის სახლის
კონცეფცია

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“ ბანკის
კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ, ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
გმირ კურსანტთა ქ. №1

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში, ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 96 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე
სახელმძღვანელო
სკოლის
დირექტორებისთვის

სტატიები განათლების
საკითხებზე

მასწავლებელთა
დამხმარე
სახელმძღვანელო სამ
ნაწილად

1. განვითარებისა და
   სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და
   პროფესიული გარემო





ჟურნალი
„მასწავლებელი“

კითხვის ეფექტური
მეთოდები
სასწავლო მეთოდური
ფილმი (DVD) და მისი
გზამკვლევი

დაწყებითი საფეხურის
მასწავლებლის მეთოდური
გზამკვლევი

მასწავლებლისა და
სკოლის დირექტორის
ეთიკის კოდექსები და
მოსწავლის ქცევის
კოდექსი

რედაქტორისგან

მასწავლებლებს, თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის 1 ნომერში, ჩვენი სახლი გვაქვს. ჯერჯერობით, მხოლოდ ქალაქ თბილისში, მაგრამ მასწავლებლის სახლები საქართველოს ყველა დიდ ქალაქში გაიხსნება სამომავლოდ.

რეგიონებიდან თბილისში სტუმრად ჩამოსულ მასწავლებელს, უკვე მისამართი აქვს, სადაც შეიძლება მოვიდეს და თავი ისე იგრძნოს, როგორც სახლში.

სახლის მასპინძლები მათთვის მნიშვნელოვან ყველა კითხვაზე პასუხს დაახვედრებენ. დაეხმარებიან პროფესიული უნარების განვითარებაში.

სახლის სამუშაო განრიგი ყოველთვიურადაა გაწერილი და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

სახლის სამუშაო თემატიკა ემსახურება იმას, რომ მასწავლებელს ახლებურად დავანახოთ მისი პროფესია და მივცეთ მათ შესაძლებლობა, თამამად შეხვდნენ განათლების თანამედროვე გამოწვევებს. ეს ითვალისწინებს, როგორც გაკვეთილის დაგეგმვასა და მართვას, ასევე სწავლების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის ხალისით სწავლებას, მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების ფორმებსა და მეთოდებს.

სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, რომლებიც ჩაერთვებიან პროფესიული განვითარების სქემაში, აქ კრედიტ ქულების დაგროვებისა და პროფესიონალიზმის ამაღლების კარგი შესაძლებლობა აქვთ.

გათვალისწინებულია სემინარები და ტრენინგები, სკოლის დირექტორებისა და კლასის დამრიგებლებისთვის.

სახლში მუშაობს ინგლისური ენისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი კურსები.

მასწავლებლის წიგნის კლუბში, ყოველკვირეულად მოხდება პროფესიული ლიტერატურის განხილვა, შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან, პრობლემური საკითხების განსახილველად, რომელიც შემდეგ გაშუქდება და ცნობილი გახდება სხვა მასწავლებლებისთვისაც ჟურნალი „მასწავლებლის“ საშუალებით.

ჩვენ ერთად უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაინტერესდეს მასწავლებლის პროფესიით და თავი ღირსეულად იგრძნოს მასწავლებლის კარიერის პროცესში.

მასწავლებლების საჭიროებების კვლევის საფუძველზე, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება ჩვენი სამუშაო გეგმა. საჭიროებები ბუნებრივია, მუშაობის პროცესში უფრო გამოიკვეთება, ამიტომაც ძალიან საინტერესო იქნება თქვენი ხედვა, მოსაზრებები და წინადადებები. მოგვწერეთ, როგორც არაერთხელ მითქვამს, ურთიერთანამშრომლობით ერთმანეთისთვის უფრო მნიშვნელოვანი გავხდებით.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N5(17),2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** მაია მენაბდე.

ნომერზე მუშაობდნენ: თეო ნეფარიძე, მანანა რატიანი, ანა ჯანელიძე, მერაბ ლაბაძე, ქეთო ნინიძე, ნინო რევიშვილი, მალხაზ ხარბედია, ირაკლი კაკაბაძე, გია ალიბეგაშვილი, დავით თინიკაშვილი..

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

9

ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა

4 მასწავლებლის სახლი – სახლი ქვეყნის მომავლისთვის

ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი

მასწავლებელთა ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ისევე როგორც ექიმის ხელში – ჩვენი ჯანმრთელობა და სამართალდამცავების ხელში – ჩვენი უსაფრთხოება. ეს გახლავთ ქვეყნის სტრატეგიული განვითარება

ნატო ინგოროყვა

7 ქართული პროექტი – სახლი მასწავლებლებისთვის

ინტერვიუ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან, გია მამულაშვილთან

მაღალი ხარისხის განათლება, პროფესიონალი მასწავლებლების გარეშე ვერ განხორციელდება. მასწავლებლის სახლის იდეა და მიზანიც, სწორედ ის არის, რომ ხელი შეუწყოს და შეუქმნას საუკეთესო პირობები მასწავლებელს, პროფესიული განვითარებისთვის და მათი მომზადების დონე გაუთანაბროს საერთაშორისო სტანდარტებს.

9 მასწავლებლის სახლის კონცეფცია

ექსპერტი

ანა ჯანელიძე

19 კრიტიკული აზროვნების განვითარება დაწყებითი განათლების საფეხურზე

ადრეულ ასაკში ბავშვები ნაკლებად არიან შეზღუდულნი წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებებით, უფრო გახსნილები არიან სამყაროს შესაცნობად და უმრავლეს შემთხვევაში, გულწრფელად სჯერათ, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

მანანა რატიანი

23 სააზროვნო სტრატეგიის სწავლება

აზროვნების სწავლება და სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება მარტივი ამოცანა არ არის. სწავლა/სწავლების არაერთი თეორია სწორედ ამ მიზნის მიღწევისკენ არის მიმართული. თუ ადამიანი აზროვნებს, ის გააზრებულად სწავლობს და მხოლოდ მასალის გაზეპირება-დამახსოვრებას არ ცდილობს.

თეო ნეფარიძე

31 შეზღუდული რესურსები, მასწავლებლის რთული გამოწვევა

მასწავლებელმა კარგად იცოდეს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს თითოეული რესურსი და დამხმარე მასალის გამოყენებამ როგორ უნდა შეუწყოს ხელი წინასწარ განსაზღვრული აკადემიური მიზნების მიღწევას.

მერაბ ლაბაძე

42 ღია საგანმანათლებლო რესურსები

განათლების სისტემისათვის ღია რესურსების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით. მათი გამოყენება ასევე ხელს უწყობს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის საზღვრების დაძლევასა და სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობების ზრდას.

შინაარსი

9

მოსაზრება

ნინო რევიშვილი

27 სკოლა სასწავლო გეგმის მიღმა

ფორმალური განათლება და ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ზოგადი განათლების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებული საგანმანათლებლო პროცესისათვის. არანაკლებ საგულისხმოა სასწავლო გარემოს სხვა ასპექტებიც, რომლებიც ასევე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

ირაკლი კაკაბაძე

35 ისტორის სწავლების მნიშვნელობისთვის

ისტორიის საგანი არის – „აზროვნების კრებული“, რაც მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, ახსნან და რამაც მათ უნდა განუვითაროს – პრობლემატიკის ანალიზისა და დასმულ კითხვებზე პასუხის მოძებნის უნარი.

ქეთო ნინიძე

46 პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები

პროექტზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა სწორედ ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხი . მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ერთი მხრივ, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და ამასთანავე, უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით და ანალიზურ უნარებს.



რჩევა

მალხაზ ხარბედია

38 მხატვრული ლიტერატურა სკოლაში

წერილი მეორე: დასკვნები და რჩევები

ტექსტების უსიერ ტყეში გარკვევაა ძალიან მნიშვნელოვანი და ჩვენი მოკრძალებული რჩევებით შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მოზარდებს, რათა მათი გატაცებები კულტურული აუტიზმის ფორმად არ იქცეს და ლიტერატურულმა ინტერესებმა მათ კარჩაკეტილობისკენ არ უბიძგოს.

რევიუ

დავით თინიკაშვილი

50 ლოგვინოვი, განათლების ფილოსოფია და პედაგოგიკა: დიდაქტიკოსის თვალსაზრისი

„თუ გვინდა, პედაგოგიკა და დიდაქტიკა მხოლოდ პრაქტიკის შემყურე არ იყოს და მათ სამუდამოდ დააღწიონ თავი საყვედურებს, რომ ცხოვრებასა და მასწავლებელ-ნოვატორებს ჩამორჩნენ, საკუთარ თავში დიდაქტიკის ობიექტებისა და პედაგოგიური პროცესების გამარტივების შიში უნდა დავძლიოთ“.

განათლების ისტორია

გია ალიბეგაშვილი

54 თუ სამყარო სკოლაა, მაშინ ცხოვრება პედაგოგიური პროცესია

ისტორიასთან ერთად ადამიანს „სასწავლო წიგნად“ სამყაროც აქვს. თუ ისტორია და ცხოვრება პედაგოგიური პროცესია, ბუნება დიდაქტიკური საგნების კრებულია თვალსაჩინო სწავლებისათვის.

მასწავლებლის სახლი

– სახლი ქვეყნის მომავლისათვის

ჟურნალ „მასწავლებლის“ სპეციალური გამოშვების სტუმარია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი.

ბატონო მინისტრო, როგორ გაჩნდა იდეა, აშენებულიყო მასწავლებლის სახლი? როგორ ხედავთ ამ სახლის მომავალს და როგორ წარმოგიდგენიათ მისი საქმიანობა და შინაარსი?

ეს გახლავთ ქართული პროექტი, საქართველოში გაჩენილი იდეა და ჩემი დიდი სურვილი, რომელიც

> მასწავლებელთა ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ისევე როგორც ექიმის ხელში – ჩვენი ჯანმრთელობა და სამართალდამცავების ხელში – ჩვენი უსაფრთხოება.

განვახორციელეთ კიდეც, რაც, რა თქმა უნდა, მახარებს. ჩვენ ამაზე დიდხანს ვფიქრობდით. შევისწავლეთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, გავაანალიზეთ ის გამოცდილებაც, რაც ჩვენ გვქონდა. კვლევის შედეგად, გაირკვა, რომ ის პირობები, რასაც ვთავაზობდით მასწავლებლებს მათი პროფესიული განვითარებისთვის, საკმარისი არ იყო.

ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა, რომელიც სახელმწიფომ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის წამოიწყო, არც თუ შედეგიანი აღმოჩნდა. მასწავლებლებს, ძირითადად, კერძო ტრენინგ-ცენტრები ამზადებდნენ და სასერტიფიკაციო გამოცდების შემდეგ გამოჩნდა, რომ მათი მომზადების ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ იყო. სხვადასხვა ქვეყანაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მრავალი ხერხი და პროგრამა არსებობს. მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფომ ექიმის, იურისტისა და მასწავლებლის პროფესია რეგულირებადი გახადა, მასწავლებლის პროფესიული განვითარება სახელმწიფოს მხრიდან მკვეთრი პოლიტიკის გარეშე ვერ გადაწყდებოდა და წარმატებას ვერ მივაღწევდით.

ვერ ვიტყვი, რომ ყველა ტრენინგ-ცენტრის მუშაობის ხარისხი ცუდი იყო, მაგრამ ვინაიდან შედეგი დამაკმაყოფილებელი არ იყო, მოხდა ამ სფეროს გადასინჯვა. ჩვენ შევეცადეთ, მასწავლებელს ტრენინგებზე სწორედ ის ცოდნა მიეღო, რაც მის პროფესიულ წინსვლას წაადგებოდა. სასერტიფიკაციო გამოცდების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მას შემდეგ, რაც ტრენინგებს ვატარებთ მასწავლებლებისთვის, სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები გაუმჯობესდა. ამ

ეს გახლავთ ქართული პროექტი, საქართველოში გაჩენილი იდეა და ჩემი დიდი სურვილი, რომელიც განვახორციელეთ.

მხრივ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მუშაობა წარმატებული აღმოჩნდა.

მე მომხრე ვარ, რომ განათლების პოლიტიკა ლიბერალური იყოს. კერძო ინიციატივებს ყოველმხრივ მხარს დავუჭერ, მაგრამ მე ასევე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ეს ინიციატივა ხარისხზე გათვლილი და შედეგზე ორიენტირებულია.

მოგეხსენებათ, რომ მასწავლებელთა ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ისევე როგორც ექიმის ხელში – ჩვენი ჯანმრთელობა და სამართალდამცავების ხელში – ჩვენი უსაფრთხოება. ეს გახლავთ ქვეყნის სტრატეგიული განვითარება.

ბატონო მინისტრო, მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლები გაგებით შეხვდნენ თანამედროვეობის გამოწვევას, ყოფილიყვნენ პროფესიონალი მასწავლებლები?

დიახ, სასერტიფიკაციო გამოცდებში მათი მონაწილეობა ამის დასტურია. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა პედაგოგს, რომლებმაც ნებაყოფლობით მიიღეს მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში. ჩემი, როგორც მინისტრის, ამოცანა გამოცდებზე მასწავლებლის ჩაჭრა არ არის. ჩემი ამოცანაა, ისინი მოვამზადო ამ გამოცდისთვის და სკოლას ჰყავდეს პროფესიონალი მასწავლებლები. ამ სახლის უპირველესი მიზანიც ხომ ეს არის.

ანუ სახელმწიფო მასწავლებლებს მასწავლებლის სახლში ამ პირობების შექმნას ჰპირდება?

მასწავლებლის სახლის კონცეფცია განსაზღვრულია მუშაობის 24-საათიანი პრინციპით. თითოეული სამუშაო დღე დაგეგმილია დეტალურად და მოიცავს როგორც პროაქტიულ, ასევე რეაქტიულ პოლიტიკას. მასწავლებლის სახლს, ბუნებრივია, აქვს თავისი შეთავაზებები მასწავლებლებისათვის – სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამები, რომლებიც ძალიან მრავალფეროვანი იქნება. ამავდროულად, სახლი რეაქტიულად უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რაც მასწავლებლების მხრიდან იქნება წამოსული, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლების საჭიროების მიხედვით განისაზღვრება სახლის შინაარსიც. მასწავლებლის

ჩემი ამოცანაა, სკოლას ჰყავდეს პროფესიონალი მასწავლებლები. ამ სახლის უპირველესი მიზანიც ეს არის.

სახლში დაეხმარებიან არა მხოლოდ მოქმედ მასწავლებლებს, არამედ იმათაც, ვისაც ამ პროფესიაში შესვლისა და დაოსტატების სურვილი აქვთ.

> ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება, მეტმა მოქალაქემ გამოთქვას მასწავლებლობის სურვილი.

თითქმის ყოველდღე ვხვდები მასწავლებლებს და ხშირად მომისმენია მათგან, რომ ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებენ, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების ტრენინგებში, კონფერენციებსა თუ სხვა აქტივობებში. ეს ობიექტური მიზეზებია: დროის დეფიციტი, მცირეწლოვანი ბავშვების დატოვების პრობლემა და სხვ., მასწავლებლის სახლში მათ ექნებათ საშუალება, შვილები ბავშვთა ოთახში პროფესიონალ ძიძებთან დატოვონ და თავად მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების ტრენინგებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახლში არსებული ტექნიკური საშუალებები: ინტერნეტი, თანამედროვე ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები და პროფესიული ლიტერატურა 24 საათი იქნება მათ განკარგულებაში.

მასწავლებლის სახლი უნიკალურია იმითაც, რომ მასთან დაკავშირება და მუშაობა შესაძლებელი იქნება ონლაინ რეჟიმში. ამ სახლს დაუკავშირდება ქუთაისის მასწავლებლის სახლი, პირველი ექსპერიმენტული სკოლა, რაზმაძის სახელობის სკოლა, კომაროვის სახელობის სკოლა. ეს პროცესი დღითი დღე გაგრძელდება და სკოლების ჩამონათვალიც გაიზრდება. აქვე აღვნიშნავ, რომ მასწავლებლის სახლები მალე გვექნება ბათუმში, თელავში, ზუგდიდში, გორსა და ქუთაისში.

ბუნებრივია, ვერავის დავაძალებთ, იყოს კარგი მასწავლებელი, მაგრამ მე ყველა პირობას შევქმნი იმისათვის, რომ მასწავლებლებს ამის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება, მეტმა მოქალაქემ გამოთქვას მასწავლებლობის სურვილი. გულწრფელად გეტყვით: არ მქონდა მოლოდინი, რომ იმ პროექტში, რომელიც სამინისტრომ ახლახანს წამოიწყო – დარჩება მასწავლებლის პროფესიაში.

ბატონო მინისტრო, თქვენ თუ იქნებით ხშირი მასპინძელი მასწავლებლის სახლში?

დიახ, მე ხშირი მასპინძელი ვიქნები მასწავლებლის სახლში. გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ურთიერთობის ყველაზე კარგი ფორმა მასწავლებლებთან უშუალო შეხვედრებია, თუნდაც კითხვა-პასუხის რეჟიმში. ასევე, მასწავლებლის სახლში მუდმივად იმუშავებს ცხელი ხაზი. რაც მთავარია, სახლი აშენდა და მისი შინაარსი განსაზღვრულია. ბუნებრივია, გზადაგზა კიდევ გამოჩნდება სხვა საჭიროებები და ჩვენ მათ აუცილებლად გავითვალისწინებთ. ამ სახლის მშენებლობით ჩვენი ქვეყნის მომავლის მშენებლობას ვუწყობთ ხელს.

> ამ სახლის მშენებლობით ჩვენი ქვეყნის მომავლის მშენებლობას ვუწყობთ ხელს.

„ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ – 25-26 წლის ხუთასამდე ახალგაზრდა მოხალისე წავიდოდა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, რათა უკეთესად შეასწავლონ ქართული ენა არაქართულენოვან მოსახლეობას. ამ ახალგაზრდების დიდი ნაწილი აუცილებლად

ქართული პროექტი – სახლი მასწავლებლებისთვის

ჟურნალი „მასწავლებელი“ ესაუბრა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს გია მამულაშვილს.

ბატონო გია, მასწავლებლის სახლი აშენდა და შინაარსიც განისაზღვრა. რა აქტივობებით იწყებს საქმიანობას მასწავლებლის სახლი?

უპირველესად, მინდა, საქართველოს ყველა მასწავლებელს მივულოცო მასწავლებლის დღე და მასწავლებლის სახლის შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ქართული პროექტი მათთვის განხორციელდა.

მაღალი ხარისხის განათლება პროფესიონალი მასწავლებლების გარეშე წარმოუდგენელია. მასწავლებლის სახლის იდეა და მიზანიც სწორედ ის არის, რომ მასწავლებლებს ხელი შეუწყოს და საუკეთესო პირობები შეუქმნას პროფესიული განვითარებისათვის, მათი მომზადების დონე კი საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბროს.

ვეცადეთ, ერთ შენობაში მოგვეყარა თავი ყველა მიმართულებისა და რესურსისთვის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი მასწავლებლები თანამედროვეები და წარმატებულები იყვნენ საკუთარ პროფესიაში.

» ვეცადეთ, ერთ შენობაში მოგვეყარა თავი ყველა მიმართულებისა და რესურსისთვის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი მასწავლებლები თანამედროვეები და წარმატებულები იყვნენ საკუთარ პროფესიაში. «

მასწავლებლის სახლი დატვირთულ რეჟიმში იმუშავებს: გახსნის დღიდან, ყოველ დღე რამდენიმე ეტაპად ჩატარდება სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები. ჩვენი სურვილია, რომ ყველა მასწავლებელს საშუალება ჰქონდეს, სასურველ დროს სასურველ აქტივობას დაესწროს.

მასწავლებლის სახლის სამუშაო განრიგისა და ყველა საქმიანობის შესახებ პედაგოგები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულები რესურს-ცენტრების, სკოლის ადმინისტრაციისა და ჩვენი ვებ-გვერდის საშუალებით. ასევე იმუშავებს ცხელი ხაზი. მათ შეეძლებათ დარეკონ და ინფორმაცია მიიღონ მასწავლებლის სახლის მთელი კვირის ღონისძიებების შესახებ.

ამ სახლის შექმნის მიზანი ისიც იყო, რომ მასწავლებლებისთვის კომფორტი შეგვექმნა. გვსურს, ყველანაირი მომსახურება გაუწიოთ მათ, ვისაც საკუთარი პროფესია უყვარს და ვინც პროფესიულ განვითარებაზე ფიქრობს. ჩვენთან მასწავლებელი არ იგრძნობს ინფორმაციულ დეფიციტს და მისთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს ყოველთვის მიიღებს. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ მასწავლებლის სახლი პერიოდულად შეისწავლის მასწავლებელთა

საჭიროებებსა და მოთხოვნებს და სამომავლო სამუშაო გეგმაში გაითვალისწინებს.

კიდევ რა შესაძლებლობები ექნებათ მასწავლებლებს მასწავლებლის სახლში?

კონფერენციების, სემინარებისა და ტრენინგების გარდა, მასწავლებლის სახლი წარმატებულ მასწავლებლებს საზღვარგარეთ სტაჟირების შესაძლებლობას მისცემს.

ვფიქრობ, საინტერესო პროექტი იქნება მასტერკლასების გამართვა მასწავლებლებისთვის.

სახლში იმუშავებს ინგლისური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსები.

ამასთანავე, მას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსებით და პროფესიული ლიტერატურით.

ბატონო გია, როგორც თქვენ ბრძანეთ, მასწავლებლის სახლი ხელს შეუწყობს და დაეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში. როგორ დაეხმარება ის უკვე სერტიფიცირებულ მასწავლებელს?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლებისთვის მასწავლებლის სახლის აქტივობებში მონაწილეობა მასწავლებლობის უფლების განახლებისა და მასწავლებლის კატეგორიის

> მაღალი ხარისხის განათლება პროფესიონალი მასწავლებლების გარეშე წარმოუდგენელია. მასწავლებლის სახლის იდეა და მიზანიც სწორედ ის არის, რომ მასწავლებლებს ხელი შეუწყოს და საუკეთესო პირობები შეუქმნას პროფესიული განვითარებისათვის, მათი მომზადების დონე კი საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბროს.

მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, თავადაც ჩაატარონ სამოდელო გაკვეთილები და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ.

ისინი მასწავლებელთა სახლში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეები იქნებიან. ასევე, მათთვის შეხვედრები მოეწყობა ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქციაში, განათლების ექსპერტებსა და ჟურნალის სტატიების ავტორებთან.

მასწავლებლები არა მხოლოდ მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ღონისძიებაში, არამედ ამ სახლში თავადაც გამართავენ პრეზენტაციებს, გამოფენებს.

სახლი აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიებით, რომლებიც მასწავლებლების განკარგულებაში იქნება.

მინიჭებისთვის სავალდებულო კრედიტების დაგროვების შესაძლებლობა იქნება.

მასწავლებლის სახლში მართლაც სასიამოვნო გარემოა. იმედია, მასწავლებლები თავს ისე იგრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

მეც ასე ვფიქრობ. აქ მასწავლებლებს, მუშაობის გარდა, ერთმანეთთან შეხვედრისა და დასვენების საშუალებაც ექნებათ. ჩემი დიდი სურვილია, რომ ამ სახლმა თავისი სახელი გაამართლოს და ის იყოს ნამდვილი სახლი მასწავლებლებისთვის.

მასწავლებლის სახლის

კონცეფცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საჯარო სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაა. ამდენად, განათლების სისტემის რეფორმირებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პედაგოგების პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლება, საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებთან მათი ცოდნის გათანაბრება. ამ მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ქმნის მასწავლებლის სახლს, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მოემსახურება ყველა დაინტერესებულ პირს და იზრუნებს სკოლის მასწავლებლების, დირექტორების, პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების, სკოლაში დასაქმებული სხვა პირების პროფესიულ განვითარებასა და მათ ინფორმირებაზე. მასწავლებელის სახლი უმასპინძლებს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებს; შედგება შეხვედრები ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან. ჩატარდება საჩვენებელი გაკვეთილები,

გაიმართება დისკუსიები, განხორციელდება მიზნობრივი ტრენინგები. მასწავლებლის სახლში პედაგოგებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ სასწავლო პროცესში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებას, დაეუფლონ სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდებს, გაიზიარონ სწავლების წარმატებული პრაქტიკა და მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით მიიღონ რეკომენდაციები. მასწავლებლის სახლში ჩატარებული ტრენინგები დაინტერესებულ პირებს საგნობრივი და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულ მასწავლებლებს მასწავლებლის სახლის აქტივობებში მონაწილეობა ჩაეთვლებათ მასწავლებლობის უფლების განახლებასა და მასწავლებლის კატეგორიის მინიჭებისთვის დაგროვილ კრედიტებში.

მასწავლებელის სახლში სწავლების პროცესი

მასწავლებლის სახლი 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს. დაინტერესებულ პირებს, მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში მათთვის საინტერესო თემაზე მიიღონ კონსულტაცია, დაესწრონ სემინარს, გაიარონ ტრენინგი, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიასა თუ სამუშაო შეხვედრაში.

მასწავლებელთა მომზადება განხორციელდება როგორც პირისპირი ტრენინგებით, ასევე დისტანციური სწავლების მეთოდებით. პირისპირი ტრენინგის განმავლობაში პრაქტიკული დავალებების შესრულებას, დისკუსიებს, როლურ თამაშებსა და პრობლემური სიტუაციების სიმულაციას ტრენინგის 60% დაეთმობა.

პირისპირი ტრენინგების განმავლობაში მონაწილეთა შეფასების კომპონენტები იქნება:

- ტრენინგზე დასწრება;
- ტრენინგის განმავლობაში აქტივობა – პრაქტიკულ სამუშაოსა და დისკუსიაში მონაწილეობის მიღება;

საშინაო დავალებები, შუალედური და საბოლოო შეფასება

ტრენინგების განმავლობაში დიდი როლი დაეკისრება

შუალედურ და საბოლოო შეფასებას, რომელიც წერითი დავალებების, სიტუაციური ამოცანების განხილვისა და ტესტირების დახმარებით განხორციელდება.

ტრენინგის განმავლობაში გამოიყენება დისტანციური სწავლების მეთოდები. მასწავლებლები თვითმომზადების საათების განმავლობაში შეასრულებენ წერით სამუშაოს, მოამზადებენ სასწავლო პროექტებს და განახორციელებენ კვლევას.

ტრენინგის დასრულების შემდეგ განხორციელდება მონიტორინგი. მასწავლებელთა პროფესიული გან-

ვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტები შეაფასებენ ტრენინგის მონაწილის სასკოლო პრაქტიკას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ტრენინგების თემატიკა

ტრენინგების თემატიკა მასწავლებლის სტანდარტსა და მასწავლებელთა საჭიროებების ანალიზს დაეყრდნობა:

- ტრენინგი სასწავლო პროექტების მომზადებაში;
- ტრენინგი აკადემიურ წერაში;

- ტრენინგი მასწავლებლის და დირექტორის ეთიკისა და მოსწავლის ქცევის კოდექსებში;
- ტრენინგი კლასის მართვის პრინციპებში;
- ტრენინგი ურთიერთ-სწავლების მეთოდებში;
- სწავლების მეთოდიკის ექსპერტების მოსამზა-დებელი კურსები;
- პროფესიული სასწავ-ლებლების მასწავლე-ბელთა ტრენინგები;
- სკოლებისა და პროფე-სიული სასწავლებლის ადმინისტრაციის წევრების ტრენინგები;
- სკოლის დირექტორთა მომზადებისა და გადამ-ზადების კურსები;
- ტრენინგები განათლე-ბის ფსიქოლოგიაში;
- სერტიფიცირებისთვის მასწავლებელთა მოსამ-ზადებელი ტრენინგები.

ტრენინგი სასწავლო პროექტების მომზადებაში

ტრენინგების განმავლობაში მონაწილეები შეისწავლიან სასწავლო პროექტების მომზადების მეთოდებს და კურსის ბოლოს მოამზადებენ საკუთარ პროექტს. კურსის დასრულების შემდეგ შეფასდება მონაწილეების მიერ მომზადებული პროექტები.

ტრენინგი აკადემიურ წერაში

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნობიან საერთაშორისო სტანდარ-ტებს და აკადემიური წერი-სათვის საჭირო უნარებს განივითარებენ.

განხორციელდება როგორც პირისპირი, ასევე დისტან-ციური სწავლება. დისტან-

ციურ სწავლებას მთლიანი კურსის 40% დაეთმობა.

ტრენინგი ეთიკის კოდექსში

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნობიან მასწავლებლის, მოსწავლისა



და დირექტორის ეთიკის კოდექსებს, გაითავისებენ მათ როლსა და მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში.

ისინი, ეთიკის კოდექსებზე დაყრდნობით, შეიმუშავებენ სასკოლო და საკლასო შინაგანაწესებს.

ტრენინგი კლასის მართვის პრინციპებში

ტრენინგი ითვალისწინებს კლასის მართვის თანამედროვე პრინციპების სწავლებასა და დანერგვას. გაზიარებული იქნება როგორც ტრენინგის მონაწილეთა გამოცდილება, ასევე კლასის მართვის თანამედროვე მიდგომები და სტრატეგიები.

ტრენინგი ურთიერთსწავლების მეთოდებში

ტრენინგების განმავლობაში მონაწილეები გაეცნობიან ურთიერთსწავლების მეთოდებს. ისინი წარმატებულ მეთოდებს საკუთარ პრაქტიკაში დანერგავენ, როგორც საგაკვეთილო, ასევე კათედრის მუშაობის დროს.

ტრენინგი, სწავლებასა და გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობასაც ითვალისწინებს.

პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრების ტრენინგები

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები განიხილავენ პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლის სტანდარტში მოცემულ საკითხებს, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს, სკოლის ფინანსური მართვისა და ადმინისტრირების საკითხებს.

სკოლის დირექტორების მომზადებისა და გადამზადების კურსი

კურსის მიმდინარეობისას სკოლის დირექტორები და სკოლის დირექტორობის მსურველები გაივლიან ინტენსიურ კურსს შემდეგი მიმართულებებით:

- სკოლის ფინანსური მართვა;
- სამართლებრივი საკითხები;
- სასწავლო პროცესის მართვა;
- ურთიერთსწავლების მეთოდები;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- მენეჯმენტის საფუძვლები;
- სკოლის ფარგლებში პროფესიული განვითარება.

ტრენინგის განმავლობაში პრაქტიკული დავალებების

შესრულებას და პრაქტიკაში არსებული სირთულეების განხილვას ტრენინგების 60% დაეთმობა.

მასწავლებლის სახლში ასევე განხორციელდება დირექტორთა სერტიფიცირებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები.

ტრენინგები განათლების ფსიქოლოგიაში

ტრენინგის საშუალებით, მასწავლებლები შეისწავლიან მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, პრობლემურ ბავშვებთან ურთიერთობის საკითხებს და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას წახალისების სხვადასხვა ფორმით.

ტრენინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომუნიკაციის პროცესი და მოსწავლეთა მოტივირება;
- სახალისო სწავლების მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში;
- კლასის მართვა;
- ფსიქოლოგთა თეორიები და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში;
- პრეზენტაციის უნარების განვითარება;
- ინკლუზიური განათლების საკითხები.

მასწავლებელთა მომზადება სერტიფიცირებისათვის

ტრენინგები მომზადდება და განხორციელდება ყველა საგნობრივი ჯგუფისათვის. ტრენინგების განმავლობაში მონაწილეები გაეცნობიან მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებულ საგამოცდო საკითხებს. ტრენინგების დასრულების შემდეგ მონაწილეები შეფასდებიან საბოლოო კოლოკვიუმის ან ტესტირების საშუალებით.

სერტიფიცირებისათვის მასწავლებელთა მომზადების მიზნით, მონაცვლეობით ჩატარდება პირისპირი და დისტანციური სწავლების კურსები. ტრენინგების სესიებს შორის გამოიყენება თვითმომზადების საათები და წერითი დავალებები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს მოსამზადებელი კურსის განხორციელებას იმ მასწავლებლებისთვის, რომლებსაც ერთი გამოცდა უკვე ჩაბარებული აქვთ და სერტიფიკატის მისაღებად მეორე გამოცდის ჩაბარებას გეგმავენ.

აღნიშნული მასწავლებლები ჩაერთვებიან მოსამზადებელ კურსში, რომლის განმავლობაშიც გაივლიან ტრენინგებს, მონაწილეობას მიიღებენ სემინარებსა და კონფერენციებში.

ამ ტრენინგების მიმდინარეობისასაც მონაცვლეობით ჩატარდება პირისპირი და დისტანციური სწავლების კურსები. ცოდნისა და მასწავლებელთა საჭიროებების შეფასების მიზნით, მონაწილეები პერიოდულად გაივლიან ტესტირებასა და წერით გამოცდებს.

სამუშაო შეხვედრები და სემინარები

მასწავლებლის სახლში გაიმართება სემინარები და სამუშაო შეხვედრები, რომელთა განმავლობაშიც მონაწილეები გაეცნობიან განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებს, ინფორმაციას მიიღებენ მათთვის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

სემინარებს ჩაატარებენ წარმატებული პრაქტიკის მქონე ქართველი და უცხოელი ექსპერტები, რომლებიც კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ.

კონფერენციები

მასწავლებლის სახლში გაიმართება ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, როგორც გამოცდილების გაზიარების

მიზნით, ასევე განათლების სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ. თემატიკა მრავალფეროვანი იქნება: საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება თანამედროვე სკოლაში, ინგლისური ენის სწავლების ინოვაციური მეთოდები, მოსწავლეების დაინტერესება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით და მასწავ-

ლებლის პროფესიის ახლებური ხედვა, ბილინგვური სწავლების წახალისება, საგანმანათლებლო რესურსები და მათი გამოყენება და სხვ.

მასტერკლასები

მასწავლებლის სახლი უზრუნველყოფს ცნობილი მეცნიერების, სხვადასხვა სფეროში წარმატებული სპეციალისტების მოწვევასა და მათი მასტერკლასების ჩატარებას შემდეგი ჯგუფებისათვის:

- სკოლის მასწავლებლები;
- პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლები;
- სკოლის ადმინისტრაციის წევრები;
- განათლების ექსპერტები.

სამოდელო გაკვეთილები

სამოდელო გაკვეთილებზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის იქნება შესაძლებელი. გაკვეთილის დასრულების შემდეგ პედაგოგებს საშუალება ექნებათ განიხილონ გაკვეთილის სტრუქტურა, სიახლეები და მიზანი.

გაკვეთილის ჩატარება ინტერაქტიული დაფის – „სმარტ ბორდის“ გამოყენებითაც იქნება შესაძლებელი.

ცენტრი მოამზადებს სამოდელო გაკვეთილების ელექტრონულ ვერსიას, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდება.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემსწავლელი კურსი

კურსის განმავლობაში მონაწილეები შეისწავლიან საოფისე პროგრამებს, გაეცნობიან სწავლების იმ ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც საგანმანათ-ლებლო ტექნოლოგიებზე

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი

ინგლისური ენის სწავლების კურსს წარუძღვებიან ქართველი და უცხოელი მასწავლებლები, რომლებიც, თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით, მასწავლებლებს, სკოლაში დასაქმებულ პირებს, საჯარო/კერძო სკოლის

რი მოსაზრების ინგლისურ ენაზე გამოხატვას და უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობას.

ენის სწავლების გაუმჯობე-სების მიზნით, კურსის განმავლობაში მოეწყობა დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ინგლისურ ენაზე ჩვენება და განხილვა.

დაფუძნებული სასწავლო მიდგომების გამოყენებას გულისხმობს. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ სასწავლო პროცესში ციფრული რესურსებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას.

ადმინისტრაციას ინგ-ლისურ ენას შეასწავლიან.

კურსის ბოლოს მონაწილე-ები შეძლებენ უცხოელ კოლეგებთან წერილობითი და ვერბალური კომუნიკა-ციის დამყარებას, ინგლისურ ენაზე არსებული ლიტერა-ტურის, აუდიო/ვიდეო მასალის გაცნობას, საკუთა-

მასწავლებლის სტაჟირება მასწავლებელთა სახლში და უცხოეთში

მასწავლებლის სახლი, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს და მოიძიებს საერთაშორისო საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებს.

მასწავლებლებსა და მასწავ-ლებლობის მსურველებს, პროფესიული განვითარების მიზნით, საშუალება ექნებათ, სტაჟირება გაიარონ მას-წავლებლის სახლში. ისინი იქ სრულყოფილ ინფორმაციას მიიღებენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამებისა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ, აგრეთ-ვე მონაწილეობას მიიღებენ ცენტრის მიერ ორგანიზე-ბულ ღონისძიებებში.

მრგვალი მაგიდა

მასწავლებლის სახლში გაიმართება შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატ-ში. შეხვედრის მონაწილეე-ბი მათთვის საინტერესო თემატიკის ირგვლივ დისკუსიას გამართავენ. განხილული საკითხები და შემუშავებული რეკომენდა-ციები საზოგადოებისათვის ჟურნალ „მასწავლებლის“ მეშვეობით გახდება ხელმი-საწვდომი. რეკომენდაციე-ბის გაცნობა ასევე მასწავ-ლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდის მეშ-ვეობით იქნება შესაძლებელი.

მასწავლებლის სახლის სტუმარი

მასწავლებელთა პროფესი-ული განვითარების ეროვ-ნული ცენტრი სისტემატურად უმასპინძლებს სკოლებს და მათ წარმომადგენლებს. გაიმართება შეხვედრები, სემინარები, მოეწყობა დისკუსიები განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებზე.

შეხვედრების ამსახველი ვიდეო-ფაილები მასწავლე-ბელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდება.

პრეზენტაციები, კონკურსები და გამოფენები

მასწავლებლის სახლში მოეწყობა მასწავლებლების მიერ მომზადებული საინ-ტერესო სასწავლო პროდუქ-ტების (ეფექტური სასწავლო მოდელის, სახელმძღვანე-ლოს, სასწავლო პროექტის) პრეზენტაციები.

მასწავლებლის სახლში მოეწ-ყობა აგრეთვე პედაგოგების ნამუშევრების გამოფენები. მასწავლებლის სახლი ითანამშრომლებს უნივერ-სიტეტებსა და მუზეუმებ-თან. გაიმართება სამუშაო შეხვედრები. ამ შეხვედრე-ბის მიზანი იქნება სწავლე-ბის ახალ მეთოდებზე დაყრდნობით კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, სასწავლო რესურსების დივერსიფიკაცია, პროექ-ტებზე ორიენტირებული სწავლების უნარების გან-ვითარება და ქვეყანაში არ-სებული სიახლეების გაცნობა.

მასწავლებელი ჟურნალ „მასწავლებელთან“

მასწავლებლის სახლში, ჟურნალ „მასწავლებლის“ მასპინძლობით, გაიმართება შეხვედრები სერტიფიცირე-ბულ და წარმატებულ მას-წავლებლებთან, ექსპერტებ-თან, ჟურნალის სტატიების ავტორებთან, რომლებიც თავის გამოცდილებაზე, სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე მოსაზრებებს გაუზიარებენ ჟურნალს და ჟურნალის საშუალებით – სხვა მასწავლებლებს.

ღია კარის დღე

ღია კარის დღე დაეთმობა ცენტრში არსებულ პროგ-რამებს და იმ სიახლეებს, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სკოლებს სთავაზობს. ღია კარის დღის თემატიკა მასწავლებლების საჭიროებათა ანალიზის შედეგად განისაზღვრება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მასწავლებლის სახლში

მასწავლებლის სახლში მასწავლებლებს, დირექტო-რებსა და დაინტერესებულ პირებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრისა და მათთვის მნიშვნელოვან თემებზე საუბრის შესაძლებლობა ექნებათ.

კრიტიკული აზროვნების განვითარება დაწყებითი განათლების საფეხურზე

ანა ჯანელიძე

1940-50-იანი წლებიდან მკვლევრები და პედაგოგები აქტიურად მსჯელობენ განათლებაში კრიტიკული აზროვნების როლზე. საჭიროა, ვიცნობდეთ გარკვეულ განმარტებებს, შეხედულებებსა და კითხვებს, რათა კრიტიკული აზროვნების შესახებ კრიტიკულად აზროვნება შევძლოთ. რა არის ეს? უნდა ვასწავლოთ თუ არა? რატომ და როგორ? გთავაზობთ რეკომენდაციებს გაკვეთილის დროს კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობისთვის.

ბოლო ათწლეულების მანძილზე კრიტიკული აზროვნების განმარტებამ მცირე ცვლილებები განიცადა. ერთ-ერთი მოსაზრებით, კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ფაქტების ანალიზის, იდეების ორგანიზების, შეხედულებების დაცვის, შედარებების გაკეთების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის უნარს. სხვა განმარტების მიხედვით, ეს არის მსჯელობის გზა, რომელიც მოითხოვს პიროვნების შეხედულებების შესაბამისი არგუმენტებით გამყარებას და მისი მოსაზრების სიმტკიცეს, სანამ საწინააღმდეგო შეხედულებას მყარი საფუძველი არ ექნება. მესამე მოსაზრების მიხედვით, კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ლოგიკურ, რეფლექსურ აზროვნებას, რომლის მიზანია, გადავწყვიტოთ: რა დავიჯეროთ და რა – არა.

აღნიშნული ცნების განმარტება მრავალნაირად შეიძლება, თუმცა ყველა მათგანს აერთიანებს ერთი რამ: რთული საკითხების გადაჭრისთვის ეფექტური გზების მოძებნის საჭიროება. იმ ექსპერტთა აზრით, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებას იკვლევენ, მოსწავლისთვის რომელიმე საკითხზე მუშაობა მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ის ლოგიკური მიზნისკენ არის მიმართული. როცა მოსწავლეებს სთხოვენ, განიხილონ მიზეზები და წარმოადგინონ საკითხის გადაჭრის გზები, ისინი იწყებენ კრიტიკული აზროვნების საშუალებით პრობლემების იდენტიფიცირებას, გაანალიზებასა და გადაჭრას.

მომავალში მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ პრობლემების გადაჭრის უნარზე დაყრდნობა. უკანასკნელ პერიოდში ტექნოლოგიური და ინფორმაციული სფეროს განსაკუთრებული სისწრაფით განვითარება ცხოვრებისა და მუშაობის პირობებს დრამატულად ცვლის. საზოგადოებაში კიდევ უფრო იზრდება ინფორმაციის მოპოვების, გაგების, გაანალიზებისა და გაზიარების საჭიროება. ერთ-ერთი მკვლევრის აზრით, ჩვენს საუკუნეში მუშაობა, ფაქტობრივად, პრობლემების გადაჭრის სინონიმია. ჩვენ უკვე მოგვეთხოვება მრავალმხრივი წიგნიერება, რაც თავისთავად გულისხმობს თვითრეგულაციასა და

> „იმის ნაცვლად რომ მზა პასუხები შესთავაზოთ მოსწავლეებს, ყველაზე მარტივი საკითხებიც კი წარუდგინეთ როგორც ამოცანა, რომელიც თავად უნდა გადაჭრან.“

მონიტორინგს, გაგებასა და ემპათიას, ანალიზსა და შეფასებას, ანუ ყველაფერ იმას, რაც ერთი მთავარი ცნების – აზროვნების გარშემო ტრიალებს.

როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას?

1980-იან წლებში ამერიკაში არსებობდა მიმდინარეობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა აზროვნების ცალკე სწავლება. ამ შეხედულების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური საგნები, პროგრამები და შესაბამისი მასალები. ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ აზროვნების უნარების გადატანა მნიშვნელოვან აკადემიურ საგნებში ავტომატურად არ ხდება. კრიტიკული აზროვნების სწავლება ნაკლებად ეფექტურია, როცა ის ცალკე, სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად ისწავლება. მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკული აზროვნება გაკვეთილზე სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენდეს.

მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერის აქტივობებად „გადაქცევა“. ამ მიზნის მიღწევა შესაძლოა ზედმეტად რთული მოგვეჩვენოს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ის მხოლოდ მცირე ცვლილებას მოითხოვს არსებულ მიდგომაში. მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ სამუშაო მასალის იდენტიფიცირება, სხვადასხვა მახასიათებლის ანალიზი, მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა. აგრეთვე, მასწავლებლებს შეუძლიათ დროისა და სივრცის გამოყოფა გონებრივი იერიშისა თუ გეგმების დაწყობისა და შემოწმებისთვის. გთავაზობთ იმ გზებს, რომელთა საშუალებით მასწავლებელი დაეხმარება მცირეწლოვან მოსწავლეებს, იმუშაონ ამოცანებზე და ისწავლონ საკუთარ აღმოჩენებზე დაყრდნობით.

იმის ნაცვლად რომ მზა პასუხები შესთავაზოთ მოსწავლეებს, ყველაზე მარტივი საკითხებიც კი წარუდგინეთ როგორც ამოცანა, რომელიც თავად უნდა გადაჭრან. უმცროს ასაკში ბავშვები ადვილად ღიზიანდებიან, თუ, მაგალითად, ვერ ნახეს სკამი დასაჯდომად, ფანქარი, რომელიც მოსწონთ, ან შემთხვევით გაეხათ რვეული. მარტივია, უბრალოდ, ვუთხრათ: „აიღე, აი, ის სკამი“, „აი, აქ არის წითელი ფანქარი“, „აიღე წებო და დააწებე“, მაგრამ ბევრად უფრო უკეთესი და მიზანშეწონილია, შემდეგნაირად ვუპასუხოთ: „აბა, მოვიფიქროთ, როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა?“ მივცეთ მოსწავლეს საშუალება, გამოთქვას საკუთარი აზრი, გამოსცადოს საკუთარი სტრატეგია, მიუხედავად იმისა, მიაჩნია თუ არა მასწავლებელს ეს ვერსია საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზად. შესაძლოა პრობლემის მოგვარების გეგმა სრულყოფილი არ იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ, როგორც წესი, მოსწავლეები ამაყობენ პრობლემების გადაჭრის საკუთარი მცდელობებით.

ყოველთვის შეეცადეთ, გონებრივი იერიშისთვის გამოყოთ დრო. სანამ წაიკითხავდეთ რაიმე წიგნს, სახელმძღვანელოს, გარკვეული დრო დაუთმეთ წიგნის ყდაზე საუბარს და მიეცით ბავშვებს საშუალება, იმსჯელონ მასზე. ყურადღება მიაქცევინეთ მათ ყდაზე ასახულ სიტუაციასა და გმირებზე. თუ წიგნს პეიზაჟი ახატია, ჰკითხეთ ბავშვებს, რის შესახებ შეიძლება იყოს მოთხრობილი წიგნში. მიეცით შესაძლებლობა მოსწავლეებს, გონებრივი იერიშის საშუალებით შექმნან იმ მოვლენების, გმირების, ნივთების ჩამონათვალი, რომლებიც, სავარაუდოდ, წიგნში შეხვდებათ. ჩაინიშნეთ მათი პასუხები და მოგვიანებით მიუბრუნდით მათ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ასაკში კრიტიკული მსჯელობა, უმეტესწილად, ხმამაღლა ხდება, სასარგებლოა, ჩანაწერებით მიადევნოთ თვალი მოსწავლეთა განვითარებას.

შეადარეთ და დააპირისპირეთ მოვლენები, საგნები. შეადარეთ და განასხვავეთ ნივთები, მაგალითად, ხატვის გაკვეთილზე – ფუნჯი და „ღრუბელი“ (საღებავებით ხატვისთვის საჭირო ნივთი). იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად, როგორ შეიძლება მათი გამოყენება, რა აერთიანებთ, რა განასხვავებთ ერთმანეთისგან. შეადარეთ სხვადასხვა საგნის ზომები, ფორმები, ფერები, გემო. შეადარეთ გუშინდელი და დღევანდელი ამინდი, არგონავტების გემი და თანამედროვე

> **„სწორად ფორმულირებული ღია კითხვები მოსწავლეებს უბიძგებს საკითხის გაანალიზებისკენ, აზრების შეჯერებისა და შეფასებისკენ.“**

სამგზავრო გემი, ციფრი 6 და ციფრი 9. შეადარეთ ორი სიტყვა ასოებისა და მარცვლების რაოდენობის, პირველი და ბოლო ასოების, ან მნიშვნელობების მიხედვით. წაახალისეთ ბავშვები, ყურადღებით დაუკვირდნენ დეტალებს და იფიქრონ მათ დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

დაახარისხეთ. დაახარისხეთ ნივთები ისე, რომ თითოეული მოსწავლის მოსაზრება გაითვალისწინოთ. თუ ბავშვებს დავავლებთ, სამი ნივთიდან – სახაზავი, „სკოჩი“ და შოკოლადის ფილა – ამოირჩიონ ზედმეტი, რომელიც სხვა ნივთების კატეგორიას არ მიეკუთვნება, ზოგიერთმა შესაძლოა შოკოლადის ფილა ამოირჩიოს, რადგან მისი შეჭმა შეიძლება, სხვა ნივთებისა კი – არა. სხვა მოსწავლეებმა შესაძლოა აირჩიონ „სკოჩი“, რადგან ის მრგვალია, განსხვავებით დანარჩენი ორი ოთხკუთხედი საგნისგან. დაუშვით ორივე პასუხის სისწორე და ჩაეძიეთ ბავშვებს. მნიშვნელოვანია არა პასუხი, არამედ მსჯელობისა და საკუთარი თავისთვის კითხვების დასმის პროცესი.

წაახალისეთ შემოქმედებითობა. სასურველია, მოსწავლეებს მასწავლებლის მიერ მომზადებული პროექტები კი არ მიაწოდოთ, არამედ მისცეთ მათ მასალის (მაგ., რამდენიმე სახის წიგნი, პლაკატები, გაზეთიდან ამოჭრილი სურათები) და სამუშაო ინსტრუმენტების (მაკრატელი, ფუნჯები, წებო, ფანქრები) ფართო არჩევანი. განუსაზღვრეთ მხოლოდ ზოგადი მითითებები. მაგალითად, თუ მოსწავლეებს ეტყვით, რომ გარკვეული ზომის თოვლის ბაბუა გააკეთონ, დავალების შესასრულებ-

ლად მათ დასჭირდებათ თოვლისა და გაზომვის შესახებ საკუთარი ცოდნის გათვალისწინება. მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შეთავაზებული მასალის შესაძლებლობები; უნდა შეაფასონ საკუთარი მოტორიკის ძლიერი და სუსტი მხარეები. მათ უნდა დასახონ მოქმედების გეგმა, გამოცადონ ის და გამოძებნონ საკითხის გადაჭრის გზა. ისინი უნდა იქცნენ კრიტიკულად მოაზროვნეებად – მათ უნდა შექმნან თოვლის ბაბუა.

ასწავლეთ ბავშვებს კრიტიკულად მსჯელობა სასწავლო გეგმის ფარგლებში. საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეებმა შესაძლოა შექმნან რომელიმე ცხოველის/ცხოველების ბუნებრივი საცხოვრებელი გარემო; მათემატიკაში – თანაკლასელებს თანაბრად გაუყონ სხვადასხვა ზომის ორცხობილები; საზოგადოებრივ საგნებში – შექმნან სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ტანსაცმლის რუკა და ა.შ. კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია კითხვის შესწავლის პროცესშიც, ვინაიდან ხელს უწყობს წაკითხულის გაგებასა და ამბავის შემეცნებას. დაავალეთ ბავშვებს, განსხვავებულად შეხედონ გმირს ან აღწერილ სიტუაციას და სთხოვეთ, სხვა თვალთახედვით მოყვნენ ამბავს. წერილობითი ენა – სიტყვები, განმარტებები, წესები – აგრეთვე მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს კრიტიკულად მოაზროვნისათვის. როდესაც მოსწავლეები ამოცანების გადასაჭრელად ან შედეგის მისაღწევად წერილობით ენას იყენებენ, შედეგი უფრო თვალსაჩინო და დასამახსოვრებელია.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ და გააანალიზონ ის, რაც უკვე იციან მოცემული თემის შესახებ. შეუწყვეთ ხელი მათ, ზეპირი და წერითი სამუშაოების მეშვეობით, შექმნან ნაცნობი კონტექსტი ახალი ინფორმაციის ასათვისებლად და საკუთარი მოსაზრებების სხვებისთვის გასაზიარებლად.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, გააცნობიერონ შეხედულებების არაობიექტურობა და შეძლონ „გახსნილი გონებით“ საკითხის შეფასება. ჩამოაწერინეთ მათ შეხედულებები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ შეფასება დაავალეთ მოგვიანებით, როდესაც ისინი მეტი ინფორმაციის შეგროვებას შეძლებენ.

დასვით ღია კითხვები. დახურული კითხვებისგან განსხვავებით, ღია კითხვებს არ მოჰყვება სავარაუდო პასუხები. სწორად ფორმულირებული ღია კითხვები მოსწავლეებს უბიძგებს საკითხის გაანალიზებისკენ, აზრების შეჯერებისა და შეფასებისკენ.

უხელმძღვანელეთ მოსწავლეებს ძიების პროცესში. დაეხმარეთ მათ, გამოიყენონ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო იმისათვის, რომ ახსნან მოვლენები და გაამყარონ საკუთარი არგუმენტები. ასწავლეთ და დაეხმარეთ მოსწავლეებს ინფორმაციის წყაროების სანდოობის გარკვევაში. აუხსენით მათ, რომ არ არსებობს ერთადერთი და შეუცდომელი წყარო. ერთსა და იმავე საკითხის შესახებ რამდენიმე წყაროდან ინფორმაციის მიღებით მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ხშირად არსებული ინფორმაციები ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია.

დაეხმარეთ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში. როდესაც მოსწავლეები ინფორმაციის წყაროებს ერთმანეთს ადარებენ და სწავლობენ, რომ შეხედულებებს ლოგიკური არგუმენტებით გამყარება სჭირდება, მათ კრიტიკულად მსჯელობის უნარი უვითარდებათ.

მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს მსჯელობის უნარის მნიშვნელობას და ხელს უნდა უწყობდეს მის განვითარებას სკოლაში სწავლის პირველივე წლებში. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესწევთ უნარი, ჩამოაყალიბონ საკმაოდ რთული მოსაზრებები, რომლებიც ხშირად მასწავლებელთა მოლოდინს აჭარბებს. ამის მიზეზი, გარკვეულწილად, ისაა, რომ ადრეულ ასაკში ბავშვები ნაკლებად არიან შეზღუდულნი წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებებით, უფრო გახსნილები არიან სამყაროს შესაცნობად და უმრავლეს შემთხვევაში, გულწრფელად სჯერათ, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

სააზროვნო სტრატეგიის სწავლება

მანანა რატიანი

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება შეიძლება ეროვნული სასწავლო გეგმის ამოსავალ წერტილად მივიჩნიოთ. თითოეული დისციპლინის საგნობრივი პროგრამა სწორედ იმ პრინციპით შეიქმნა, რომ მოსწავლემ აზროვნება ისწავლოს და ის მხოლოდ ნასწავლის დამახსოვრებაზე არ იყოს კონცენტრირებული. დღეს სასწავლო პროცესი მოსწავლეებს უბიძგებს იმისკენ, რომ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, შეძლონ მათი დასაბუთება, იაზროვნონ კრიტიკულად და შემოქმედებითად. სხვა შემთხვევაში, მოსწავლეები ვერ იქნებიან მზად თანამედროვე, სწრაფი ცვლილებების გარემოში ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. რთული სათქმელია, თუ როგორ შეიცვლება სამყარო იმ დროისათვის, როცა მათ მოუწევთ საქმიანობა, რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებიან ისინი, რადგან ტექნოლოგიების განვითარება კაცობრიობას საოცრად დინამიკურ რიტმს ჰკარნახობს.

აზროვნების სწავლება და სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება მარტივი ამოცანა არ არის. სწავლა/სწავლების არაერთი თეორია სწორედ ამ მიზნის მიღწევისკენ არის მიმართული. თუ ადამიანი აზროვნებს, ის გააზრებულად სწავლობს და მხოლოდ მასალის გაზეპირება-დამახსოვრებას არ ცდილობს.

მოსწავლეს ინფორმაციის გააზრებაში მრავალი ფაქტორი ეხმარება. რა თქმა უნდა, ამ პროცესში მასწავლებელი უმთავრეს როლს ასრულებს. მოსწავლეს გასაგები ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, მას ნათლად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. მნიშვნელოვანია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქციებიც, რომლებიც მის ასაკსა და საბაზისო ცოდნას უნდა შეესატყვისებოდეს. ამავდროულად მოსწავლეებს დიდად ეხმარება მასწავლებლის რჩევები და შეფასებებიც.

სასწავლო პროცესში შეკითხვის ფორმულირება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან კითხვები მოსწავლეებს აზროვნებისკენ უბიძგებს. მაგალითად, გეოგრაფიაში შეკითხვა: „რომელია საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე?“ შეიძლება ასე ტრანსფორმირდეს: „რა გავლენა აქვს კლიმატს მდინარეთა წყალუხვობაზე? რატომ არის დასავლეთ საქართველოს მდინარეები აღმოსავლეთისაზე უფრო წყალუხვი?“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სწორად ჩამოყალიბებული შეკითხვა საკმარისი ვერ იქნება აზროვნების განვითარებისათვის. კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებობს, რომელთაგან აღსანიშნავია:

„სასწავლო პროცესში შეკითხვის ფორმულირება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან კითხვები მოსწავლეებს აზროვნებისკენ უბიძგებს.“

ინფორმაციის მოცულობა, მიწოდების ფორმა, ასაკობრივი შესაბამისობა.

მაგალითად, თუ სახელმძღვანელოში ავტორმა უკვე იმსჯელა და ამომწურავად უპასუხა შეკითხვას მდინარეთა წყალუხვობაზე, მოიყვანა რამდენიმე არგუმენტი, შეაფასა ისინი, ზემოთ მოყვანილი შეკითხვები მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებას ხელს ვეღარ შეუწყობს. მათ ხომ უკვე ვრცლად მიეწოდათ ავტორისეული მოსაზრებები, რომლებსაც მხოლოდ დამახსოვრება სჭირდება.

არსებობს შეკითხვებისა და დავალებების ტიპები, რომლებზეც პასუხის გაცემა მოსწავლეს გაუჭირდება, თუ მან არ იცის, როგორ გაართვას მათ თავი. ამ სტატიაში სწორედ ასეთ შემთხვევებზე გვინდა, გავამახვილოთ ყურადღება.

თუ სწავლებას ისე წარვმართავთ, რომ მოსწავლეებს აზროვნების სტრატეგიებს ვასწავლით, მაშინ ისინი მზად იქნებიან სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის დასაძლევად. ასევე, როგორიც არ უნდა იყოს მომავალი, ისინი შეძლებენ მას სათანადოდ მომზადებულები შეხვდნენ, უცხო სიტუაციაშიც კი იპოვონ რაიმე ხელმოსაჭიდი სწორი მოსაზრებების გამოსახატავად, დასკვნების გამოსატანად.

სანამ პრობლემის გადაჭრის სააზროვნო ტექნიკებს ვასწავლით, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ საკუთარი აზროვნების სათანადოდ შეფასება. ყოველ ჩვენგანს მეტ-ნაკლებად სჯერა, რომ ის კარგი მოაზროვნეა. ამიტომაც არ არის მარტივი ისეთ სიტუაციებთან შეგუება, რომლებშიც ამას ვერ ვამჟღავნებთ. მიუხედავად განცდილი წარუმატებლობისა, ცოტა თუ ფიქრობს მიზეზების ახსნასა და მსგავსი სიტუაციების თავიდან არიდების შესაძლებლობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან არასრულფასოვნად აზროვნება სიზარმაცის შედეგია, როდესაც არაორგანიზებულობის გამო მცდარ გადაწყვეტილებამდე მივდივართ. კარგია, თუ მოსწავლე შეძლებს თავის აზროვნებაში იმ ზღვარის აღმოჩენას, რომლის იქითაც დამატებითი ბიძგი სჭირდება, იქნება ეს დამატებითი ინფორმაცია თუ სხვა რესურსების მოძიება და ხერხების მოსინჯვა.

ერთ-ერთი სააზროვნო ტექნიკა, რომლის ცოდნაც მოსწავლეებს წაადგებათ, ე.წ. საააზროვნო განგაშია. ეს არის ერთგვარი სიგნალი, რომ შენს აზროვნებაში რაღაც სწორად არ მიდის და შეიძლება რამე სათანადოდ ვერ გააკეთო, ან ფიქრს არასაკმარის დროს უთმობ, ან, უბრალოდ, მთელის ის ნაწილი გამოგრჩა, რომელიც ამ დროს დაგეხმარებოდა. თუმცა, რაც არ უნდა იყოს მიზეზი, საბოლოო ჯამში, ის მცდარ, არასაკმარისად დამუშავებულ მოსაზრებამდე მიგიყვანს.

ვიწრო აზროვნება ▷▷▷	იყავი მრავალმხრივი და შეხედე ყველაფერს სხვადასხვა პერსპექტივიდან.
არეული აზროვნება ▷▷▷	იაზროვნე მკაფიოდ და ფრთხილად, დაგეგმე ყოველი ეტაპი.
გაფანტული აზროვნება ▷▷▷	იყავი მოწესრიგებული, დაგეგმე დეტალურად.
ნაჩქარევი აზროვნება ▷▷▷	მეტი დრო დაუთმე ფიქრს, აწონ-დაწონე სხვადასხვა ვარიანტი.
ზარმაცი აზროვნება ▷▷▷	იყავი ინტერესიანი და დასვი კითხვები.

უფრო კონკრეტული რომ გახდეს, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული მოდელის დახმარებით მოსწავლეებს უკეთესად აზროვნება ვასწავლოთ, მოგიყვანთ მაგალითს მასწავლებლის პრაქტიკიდან. ეს ნიმუში მოცემულია დევიდ პერკინსისა და შარი თიშმანის წიგნში „მოაზროვნე კლასი, სწავლისა და სწავლების აზროვნების კულტურა“.

მასწავლებელი მოსწავლეებს კონკრეტულ დავალებას აძლევს. ის მათ პრობლემას აცნობს და სთხოვს, მოიფიქრონ, თუ როგორ მოაგვარებდნენ მას. პრობლემა კი შემდეგია: „წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ სკოლის დირექტორი. დამლაგებლები გადაწყვეტენ, გაიფიცონ, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ მათი შრომა სათანადოდ დაფასებული არ არის. ისინი ხელფასის გაზრდას ითხოვენ. როგორ მოიქცევით?“

მოსწავლე №1: „მე ყველას გავათავისუფლებ“.

მოსწავლე №2: „მე კი მხოლოდ მათ გავათავისუფლებდი, რომლებიც არცთუ კარგად აკეთებდნენ თავის საქმეს“.

მოსწავლე №3: „მეტი თანხა რომ მქონოდა, მათ უფრო მაღალი ხელფასები ექნებოდათ, ასე რომ, მათ მოუწევთ იმავე პირობებზე დათანხმება, ან სამსახურის დაკარგვა“.

მასწავლებელი (მოსაზრებების მოსმენის შემდეგ): „აბა, დაფიქრდით, რა იყო საერთო თქვენს პასუხებში? თქვენი პასუხები ცალმხრივად ეხმიანებოდა პრობლემას და გადაჭრის მხოლოდ ერთ გზას გვთავაზობდა, რომლის შედეგადაც ყველა დამლაგებელი ან ურიგდება ბედს, ან კარგავს სამუშაოს. ნუთუ სხვა გზა არ არის? ცოტა ხნით შევჩერდეთ, უკეთ დავფიქრდეთ და გავაანალიზოთ: ჩვენი აზროვნება როგორი იყო? შევძელით თუ არა სრულყოფილად გაგვეანალიზებინა სიტუაცია?”

მოსწავლე №3: „არა მგონია, რადგან არ გვქონდა განსხვავებული მოსაზრებები, ყველა ერთი მიმართულებით წავედით“.

მასწავლებელი: „კარგია, რომ პრობლემის არსი დაინახე. სწორედ ამ დროს უნდა შეძლოთ დაფიქრება, ანუ „სააზროვნო განგაში“ უნდა ჩაგერთოთ“.

აქ მასწავლებელი მოსწავლეებს „სააზროვნო განგაშის“ მნიშვნელობას გააცნობს.

მასწავლებელი: „რას გვეტყოდა ის ჩვენ? რა თქმა უნდა გვეტყოდა, რომ ჩვენი აზროვნება ძალიან ვიწრო იყო. როგორ შეგვიძლია ამ ხარვეზის გამოსწორება? ჩვენ საკმარისად არ გვიფიქრია, არ გვიცდია, დაგვენახა პრობლემა სხვადასხვა პერსპექტივიდან“.

მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვებს: „ვიწრო აზროვნება“ და მოსწავლეებს აძლევს დროს იმაზე დასაფიქრებლად, თუ როგორ შეიძლება მოიქცნენ ამ სიგნალის შემთხვევაში. ის ურჩევს მათ, ყოველთვის დაფიქრდნენ, თუ პასუხები ერთმანეთის მსგავსია და განსხვავებული მოსაზრებები არავის გამოუთქვამს. პრობლემის გადაჭრისას ყველა შესაძლო ვარიანტი განხილვას ექვემდებარება. სწორედ ცალმხრივი აზროვნება უნდა იძლეოდეს სიგნალს, რომ რაღაც არასწორად კეთდება.

როდესაც პრობლემა იდენტიფიცირებულია და ჩვენ გვესმის, რომ აზროვნება შეფერხებულია (ანუ ვიწროდ ვუყურებთ საკითხს), ამ დროს სწორედ სააზროვნო განგაშზე რეაგირების გზები გვეხმარება. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ცხრილს, ან უწერს დაფაზე, თუ რა უნდა მოიმოქმედონ, თუ შენიშნავენ, რომ ვიწროდ აზროვნებენ. ამის მიზეზი ხშირად ის არის, რომ მოსწავლეები, ერთი პასუხის მოძებნის შემთხვევაში, აღარ ცდილობენ სხვა, ალტერნატიული პასუხების ძიებას, ანუ ერთი და იმავე იდეის ირგვლივ ტრიალებენ.

შეიძლება სტრატეგია კიდევ უფრო გაიშალოს და ცხრილმა უფრო სრულყოფილი სახე მიიღოს:

სტრატეგიის აგების ბლოკები

როცა	სტრატეგიული ნაბიჯი	ტაქტიკა
გინდა, იაზროვნო ფართოდ რაიმე საკითხის შესახებ	ეძებე/იკვლიე:იდეა, შესაძლო ვარიანტები, შესაძლებლობები, მიზეზები, გავლენები, შეკითხვები, მიმართულებები, ჰიპოთეზები, ფაქტები, მოსაზრებები	გამოიყენე გონებრივი იერიში, ჩამოწერე სხვადასხვა ტიპის იდეები; შეხედე საკითხს განსხვავებული პერსპექტივიდან; ეძებე უხილავი, ჩაკარგული იდეები, რომლებიც ზედაპირზე არ ჩანს; გაეცანი სხვათა მოსაზრებებს; გამოიყენე კატეგორიზაცია, რათა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა გაგიადვილდეს.
გინდა, იყო მკაფიო ყველაფერში, რასაც აკეთებ	განსაზღვრე/ჩამოაყალიბე: პრობლემა თუ სიტუაცია, შენი მიზნები	განსაზღვრე, თუ რა განსხვავებული მიმართულებით შეიძლება წარიმართოს სიტუაცია; სიტუაციის თუ პრობლემის ის ნაწილები, რომლებზეც მეტად უნდა გაამახვილო ყურადღება; ზედმიწევნით განსაზღვრე, რისი შეცვლა გინდა, რა შედეგს გინდა, მიაღწიო; იყავი კონკრეტული.
გჭირდება დეტალებზე ფიქრი	შექმენი:გეგმები, შესაძლო ვარიანტები, ჰიპოთეზები, იდეები	შექმენი დეტალური გეგმა, თქვი, რა მოხდება თითოეულ ეტაპზე, გამოსახე, რა ნაწილებისგან შედგება, როგორი იქნება; ჰკითხე შენს თავს, რა რესურსებს გამოიყენებ, როგორ მოხდება, ვისზე/რაზე იმოქმედებს, რა დრო დაჭირდება; დახატე ან დაწერე აღწერილობა; წარმოიდგინე, რომ ვინმეს უყვები აღნიშნულის შესახებ.

სტრატეგიის აგების ბლოკები

როცა	სტრატეგიული ნაბიჯი	ტაქტიკა
შეფასება ან გადაწყვეტილების მიღება გჭირდება	შეაფასე:შესაძლო ვარიანტები, გეგმები, იდეები, თეორიები, საგნები	ეძებე სხვადასხვა მოსაზრება; გაითვალისწინე უცაბედი და გრძელვადიანი შედეგები; აწონე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები; ეცადე, იყო ობიექტური; იყავი მიუკერძოებელი; გამოიყენე შენი წარმოსახვა, თუ რა გავლენა ექნება შენს გადაწყვეტილებას სხვებზე.

ეს ცხრილი მოსწავლეებს სტრატეგიულ მიდგომებსა და სისტემურ აზროვნებას ასწავლის. მისი გამოყენება სხვადასხვა სასწავლო სიტუაციაში შეიძლება.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: დაწყებით საფეხურზე მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა დავალება, შექმნან ცოცხალი კუთხე. მათ უნდა მოუარონ მცენარეებს და ამით კლასი გაალამაზონ.

მოსწავლეები, საწყის ეტაპზე, ენთუზიაზმით ეკიდებიან საკითხს. მათ სახლებიდან მოაქვთ მცენარეები; იჩენენ ინიციატივას ამ მცენარეების მოვლისას. თუმცა ეს მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდება. შემდეგ მოსწავლეებს ეს ყველაფერი ბეზრდებათ და შესაბამისად, პრობლემებიც იჩენს თავს. პროექტი, რომელიც მათ თავდაპირველად მოსწონდათ, ჩავარდნის პირას აღმოჩნდება.

პირველი კვირის შემდეგ უკვე არავის ახსოვს და აინტერესებს, თუ ვინ რა უნდა გააკეთოს. მცენარეები კი ხან უწყლობით და ხან გადამეტებული მორწყვისგან ზიანდება. რეალურად არავინ იცის, თუ რა სიხშირით უნდა მორწყონ ისინი და როგორი სასიცოცხლო გარემოა საჭირო ამ მცენარეებისთვის.

ამდენად, ნათელია, რომ მასწავლებელმა დასაწყისშივე, პროექტის დაგეგმვისას, ბევრი რამ არასწორედ გათვალა. ცოცხალი კუთხის გადასარჩენად საჭიროა, მოსწავლეებმა ცხრილში მოცემული სტრატეგიები გააზრებულად გამოიყენონ.

> მოსწავლეებისთვის გეგმის შედგენის პროცესი საინტერესოა. მათ უწევთ განსხვავებული იდეების შეჯერება და მათ შორის საუკეთესოს გამორჩევა. ეს კი უკვე სტრატეგიული აზროვნების ნაწილია.

მასწავლებელი მოსწავლეებს ცხრილში მოცემული ინფორმაციის გამოყენებას სთავაზობს. ისინი ხვდებიან, რომ მათ კვლევითი ნაწილი აკლიათ, არასაკმარისი ინფორმაცია აქვთ იმის შესახებ, თუ როგორი პირობები უნდა შეუქმნან მცენარეებს. მათ არც ჩამოყალიბებული მიზანი აქვთ, არც პრობლემის აღწერა. აუცილებელია, მოსწავლეებმა კონკრეტული გეგმა შეადგინონ. ამ ყველაფრის შემდეგ ისინი ტაქტიკას ირჩევენ და შედეგის განსაზღვრაზე ჩერდებიან. მოსწავლეები ეძებენ პასუხს, თუ სად და როგორ შეიძლება მოიძიონ ინფორმაცია. გონებრივი იერიშის შედეგად ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სადაც შეიძინეს მცენარეები, მათი მოვლის პირობების შესახებ რჩევებსაც იქ შეიტყობენ. ვინც სახლიდან მოიტანა მცენარე, ის მშობლებს დაეკითხება. ასევე შესაძლოა ბუნებისმეტყველების მასწავლებელს დაუსვან შეკითხვები. ამის პარალელურად იწერება გეგმა, თუ ვინ რითი უნდა იყოს დაკავებული. როტაციის პრინციპით, თითოული წყვილი თავის თავზე აიღებს რამდენიმედღიან მორიგეობას. ყველას ეცოდინება საკუთარი ფუნქცია და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება მცენარეების მოვლას. მოსწავლეები გარკვეული პერიოდულობით გააანალიზებენ მიღწეულ შედეგებს.

მოსწავლეებისთვის გეგმის შედგენის პროცესი საინტერესოა. მათ უწევთ განსხვავებული იდეების შეჯერება და მათ შორის საუკეთესოს გამორჩევა. ეს კი უკვე სტრატეგიული აზროვნების ნაწილია.

სწორედ ამგვარი მიდგომით შეიძლება გადარჩეს ცოცხალი კუთხე და მასწავლებელმა მოსწავლეებს ცხოვრებისეულ სიტუაციებში სტრატეგიული აზროვნების გამოყენება ასწავლოს.

რასაკვირველია, სტრატეგიული აზროვნების სწავლება მხოლოდ ერთი აქტივობით არ შეიძლება. ამას ყველა მასწავლებელი უნდა მიმართავდეს გაკვეთილზე სხვადასხვა შემთხვევის განხილვისას.

სკოლა სასწავლო გეგმის მიღმა

განათლებაში ის, რაც მარტივი შესაფასებელია, არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, შესაფასებლადაც რთულია.

ადამ გარმორანი

სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა სოციალიზაციის უწყვეტი პროცესია. სკოლა ნორმებსა და ქცევის წესებს აწესებს, რაც მოსწავლეებს, მომავალში, საკუთარი როლის განსაზღვრაში ეხმარება. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ემილ დურკჰაიმი მიიჩნევდა, რომ ოჯახი დიდ გავლენას ახდენს ბავშვის აღზრდაზე და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, სკოლამ კი მოსწავლეები უფრო დიდი საზოგადოების მოქალაქეებად უნდა აღზარდოს. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო ცხოვრების თითოეულ ასპექტს, რომელიც მოსწავლეს მომავალი ცხოვრებისათვის მოამზადებს.

ნინო რევიშვილი

განათლების სპეციალისტებისა და პედაგოგების აზრი ხშირად იყოფა, როდესაც საუბარი ფორმალური განათლების საუკეთესო მეთოდებზე ან მიდგომებზეა. ფორმალური განათლება და ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ზოგადი განათლების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებული საგანმანათლებლო პროცესისათვის. არანაკლებ საგულისხმოა სასწავლო გარემოს სხვა ასპექტებიც, რომლებიც ასევე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

საგანმანათლებლო გამოცდილება შეგვიძლია სამ ასპექტად დავყოთ:

- ფუნდამენტური ცოდნის გაზიარების პროცესი, რაც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით, კურიკულუმით გათვალისწინებული საკითხების სწავლებას;
- სკოლის ფიზიკური გარემო და სტრუქტურა, რაც სასწავლო გარემოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სკოლის ფიზიკურ სტრუქტურას წარმოადგენს არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულება, აღჭურვილობა, არამედ საგაკვეთილო გეგმა, გრაფიკი, დროისა და სივრცის რესურსები;
- სასკოლო ცხოვრების გარკვეული ასპექტები, რომელთა სწავლება არ არის ასახული ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მაგრამ სკოლაში სწავლის დროს მოსწავლები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად იძენენ ცოდნის, უნარების ან გამოცდილების სახით.

წარმატებული საგანმანათლებლო პროცესი ამ სამი ასპექტის სწორი კომბინაციის შედეგად მიიღწევა.

რას სწავლობენ მოსწავლეები სკოლაში?

სკოლაში მიღებული განათლება ოფიციალურ სასწავლო გეგმებში ასახულ საგნებსა და მისაღწევ შედეგებს აღემატება. მოსწავლეები, აკადემიურ საკითხებთან ერთად, სოციალურ წესებსა და მოლოდინებს ეცნობიან. ეს მორალური თუ სოციალური მნიშვნელობის მქონე ინფორმაციაა და გარკვეულ სოციალურ უნარებს, ლექსიკას, მეტაფორებს გულისხმობს.

სასკოლო განათლების არაფორმალური ასპექტები

ფორმალური განათლების კვლევა მუდმივ ჩაღრმავებას მოითხოვს. ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლა გამუდმებით ზრუნავდეს იმაზე,

> მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს ვერ მიაღწევს, თუ არ გაითვალისწინებს სასკოლო გარემოს და ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მოსწავლეების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, მოლოდინები, მოტივაცია.

რომ მოსწავლეებს გადასცეს პრაქტიკული ცოდნა, თუ როგორ გადაწყვიტონ მნიშვნელოვანი პრობლემები. თუმცა ამ უნარის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სწავლა-სწავლების არა მხოლოდ აკადემიური ასპექტის გათვალისწინება, არამედ განათლების არაფორმალური ასპექტებზე დაკვირვებაც. სწორედ განათლების ფორმალური და არაფორმალური ასპექტების ერთობლიობა განაპირობებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს და გავლენას ახდენს მათ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

1970-80-იანი წლებიდან მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებში სტანდარტიზებული ტესტები შემოიღეს, რის შედეგადაც სწავლების „გაუზომვადი" ან უფრო რთულად გაზომვადი ასპექტების კვლევა მეორეხარისხოვანი გახდა. მიუხედავად ამისა, გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ტესტების საშუალებით მხოლოდ ცოდნის გარკვეული ნაწილი იზომება. მოსწავლის უნარების ჩამოყალიბებაზე კი არა მხოლოდ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება ახდენს გავლენას, არამედ ისეთი ასპექტებიც, როგორიცაა სასკოლო გარემო, მასწავლებლების მოტივაცია და განწყობა მოსწავლეების მიმართ, სკოლის რესურსები და ა.შ.

სკოლის კლიმატი დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების როგორც აკადემიურ მოსწრებაზე, ასევე მათ სოციალურ ქცევაზეც. კვლევა ცხადყოფს, რომ ისინი ადვილად ამჩნევენ იმ დეტალებსაც კი, რომლებიც თითქოს მათი ყურადღების მიღმა უნდა რჩებოდეს, ვთქვათ, როგორია სკოლის მართვის პრინციპი, როგორი ურთიერთობაა მასწავლებლებს შორის. შესაბამისად, სკოლის გარემოს როლის უგულებელყოფით, შესაძლებელია, მოსწავლის ჯანსაღი სოციალური განვითარებისთვის არაკეთილსაიმედო გარემო შეიქმნას.

სასწავლო პროცესი სოციალური ინტერაქციის სხვადასხვა ფორმას მოიცავს. ამ ფორმებს ხშირად მასწავლებლები კი არ ამკვიდრებენ, არამედ მოსწავლეები. რიგ შემთხვევებში, მასწავლებლები გაუცნობიერებლად იღებენ ამ ღირებულებებს. სკოლაში დამკვიდრებული

> „მასწავლებლები თავიდან ბოლომდე აცნობიერებდნენ ფარულ რისკებს და ცდილობდნენ, ნეგატიური სოციალური ღირებულებები დადებით უნარებად გარდაქმნან და დაამკვიდრონ სკოლასა და მოსწავლეებში."

ეს დაუწერელი კოდექსი ძალიან დეტალიზებულია და ისეთ საკითხებს არეგულირებს, როგორიცაა: როგორ ჩაიცვან მოსწავლეებმა? როგორ ისაუბრონ? როგორ ატარონ ჩანთა? როგორ მიესალმონ მეგობრებს? როგორ გაერთონ შესვენებების დროს? რა ლექსიკა გამოიყენონ ერთმანეთთან საუბრისას? ვისთან იმეგობრონ და ვისთან არა? რომელ ხუმრობებზე გაიცინონ? რა არის „მაგარი" და რა არა?

მოსწავლის მიერ სკოლის აღქმა იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორია სკოლის შენობა. მუდმივად კონტროლირებად, ჩაკეტილ, ჩაბნელებულ სკოლაში მოსწავლე თავს სისტემის ტუსაღად აღიქვამს, ხოლო დიდ, ნათელ, სუფთა გარემოში ის საზოგადოების

სრულფასოვანი წევრია. ამასთანავე, სკოლაში მოსწავლეს ხშირად რჩება შთაბეჭდილება, თითქოს სწავლა ძალდატანებითი „სამუშაო“ იყოს. ის ემზადება იმისათვის, რომ ისწავლოს სწორხაზოვნად, მასწავლებელზე ორიენტირებული მეთოდით. მისი შეხედულებით, სწავლა მუშაობასთან არის გაიგივებული, ხოლო თამაში სასწავლო პროცესში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება. ამ დამკვიდრებული პარადიგმის რღვევა და „თამაშით სწავლება“ (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში) ბავშვს დადებით განწყობას შეუქმნის და მისთვის სწავლა სასიამოვნო პროცესთან გაიგივდება.

მზადება შრომის ბაზრისათვის

განათლების თეორეტიკოსები სკოლას სოციალური კონტროლის ერთ-ერთ უძლიერეს მექანიზმად მიიჩნევენ. შესაბამისად, გასაგებია, რომ სკოლის ყოველდღიური რუტინა წინასწარ განსაზღვრულ ნორმებს, ღირებულებებს, წარმოდგენებს აყალიბებს. ის მოსწავლეს უქმნის მოლოდინს საკუთარ მომავალზე, სოციალურ ურთიერთობებსა და სტატუსზე. ამგვარად, სკოლის იდეოლოგიის გავლენით ხშირად მოსწავლეები აღარ ცდილობენ საკუთარი მომავლის შეცვლას უკეთესობისკენ, უფრო ამბიციური მიზნების დასახვას. შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ სოციალური კონტროლის ასეთი იარაღი აკონტროლებს შრომით ბაზარსაც.

სკოლის სოციალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი შრომის ბაზრისთვის მოსწავლეების მომზადებაა. თავად სკოლის პარაგდიგმაც – სპეციალური, შეფასებადი დავალებების შესრულება – მათ სწორედ შრომის ბაზრისათვის ამზადებს. სკოლაში მოსწავლეები პუნქტუალობას, ავტორიტეტების მორჩილებას, დავალებების შესრულებისათვის მზაობას, დროის რაციონალურად განაწილებას, საკუთარი პოზიციისა და არგუმენტების დაცვას ეჩვევიან. ამ უნარებს მათ მასწავლებელი უვითარებს, შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ მართავს პედაგოგი კლასს. რამდენად პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქე იქნება მოსწავლე მომავალში – ეს მეტწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი წესრიგია საკლასო ოთახში. როდესაც მასწავლებელი ავტორიტარია, მოსწავლეები სასწავლო პროცესს ძალდატანებით პროცესად აღიქვამენ, სადაც დაკავებული უნდა იყო და სკოლის განრიგს მორჩილად მიჰყვებოდე. ლიბერალი მასწავლებლების მოსწავლეები კი სამუშაოს ხალისითა და ინტერესით ასრულებენ. სწორედ ამის გათვალისწინებით, სკოლა ხშირად განაპირობებს იმას, თუ სად აგრძელებს სკოლადამთავრებული სწავლას.

როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა სკოლის გარემო მოსწავლეებში სწორი ღირებულებების დასამკვიდრებლად?

მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს ვერ მიაღწევს, თუ არ გაითვალისწინებს სასკოლო გარემოს და ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მოსწავლეების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, მოლოდინები, მოტივაცია.

მასწავლებელი სრულად ვერ გამორიცხავს კლასში არასასურველი სოციალური თუ ეთიკური ნორმების დანერგვას, მაგრამ მას შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეების სწორი სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებას. მან უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის თავისებურებები, სასწავლო ჯგუფის ფორმირებისას კი ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსწავლეების შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და ქცევის ნორმებზე.

კვლევა ცხადყოფს, რომ იმ სკოლებში, სადაც მასწავლებელს შეუძლია სწავლების პროცესი მოსაწყენ რუტინად არ აქციოს, მოსწავლეებს უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ სწავლის მიმართ და ისინი უფრო მოტივირებულები არიან. ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები გაკვეთილს კი არ ხსნიან, არამედ მოსწავლეებს ზედაპირულ ინსტრუქციას აწვდიან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეასრულონ მათ საშინაო დავალება. რიგ შემთხვევებში, მოსწავლეებს შემოქმედებითობა საერთოდ არ მოეთხოვებათ. არადა, აზროვნების ჩამოყალიბებას მასწავლებელი ხელს მხოლოდ მაშინ უწყობს, როდესაც ის მოსწავლეებს ექსპერიმენტებისაკენ, სიახლეებისაკენ უბიძგებს.

„ ფორმალური განათლება და ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ზოგადი განათლების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებული საგანმანათლებლო პროცესისათვის. არანაკლებ საგულისხმოა სასწავლო გარემოს სხვა ასპექტებიც, რომლებიც ასევე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. “

იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეებს თავისებური წარმოდგენა აქვთ სასკოლო ცხოვრებაზე, მასწავლებელი (ასევე სკოლის ადმინისტრაცია) კარგად უნდა იცნობდეს მათ მოთხოვნებსა და ინტერესებს, ცდილობდეს მათ მიერ დაწესებული კანონების „გაფილტვრას“ და იმ წესებისა და უნარების ჩამოყალიბებას, რომლებიც ჯანსაღი სასკოლო გარემოს ფორმირებას შეუწყობს ხელს. მაგალითად, მასწავლებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მოსწავლე სკოლაში შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით გამოცხადდეს და ამავე დროს მისი ინივიდუალური ჩაცმის წესი არ შეიზღუდოს.

მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ისინი თავაზიანად უნდა ექცეოდნენ სხვა მოსწავლეებს, თავს უნდა იკავებდნენ მუქარისგან, ცილისწამებისგან, დამცინავი განცხადებებისგან. ამავე დროს, მასწავლებელმა მოსწავლეს არ უნდა მიუთითოს, თუ ვისთან უნდა იმეგობროს, რომელი მოსწავლეა სამაგალითო ყოფაქცევის მქონე და ა.შ. მასწავლებლის შეფასებები კონკრეტულ ქმედებებსა და მიღწევებს უნდა ეფუძნებოდეს და ზოგად დასკვნებს არ უნდა წარმოადგენდეს.

მასწავლებელმა მოსწავლეების მიერ შექმნილი კანონების უარყოფითი მხარეები უნდა გაითვალისწინოს და მათი აღმოფხვრა სცადოს. მაგალითად, მოსწავლეებს ხშირად სჩვევიათ გარკვეული ტიპის თანატოლების გამორჩევა, დაცინვა და დამცირება. მასწავლებელმა, პირველ რიგში, საკუთარი ქმედებით უნდა აჩვენოს მათ საპირისპირო მაგალითი. იმისათვის, რომ მოსწავლეებთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს, პედაგოგმა არასდროს უნდა გაიცინოს ისეთ ანეგდოტზე, რომელიც დისკრიმინაციულია გარკვეული ტიპის მოსწავლეების მიმართ. ასეთი უნებური ქმედება გაუცნობიერებლად ახდენს იმ აზრის ინდოქტრინაციას, რომ ამ ტიპის მოსწავლეები სხვა მოსწავლეებზე დაბლა დგანან.

მასწავლებელი ხელს არ უნდა უწყობდეს სქესთან დაკავშირებული სტერეოტიპების დამკვიდრებას. ვთქვათ, პედაგოგმა არასდროს უნდა უთხრას ბიჭს: „რა გატირებს, გოგო ხომ არ ხარ?“ ან გოგოს: „რა ცელქი ხარ, ბიჭივით რატომ იქცევი?“ ასეთი მიდგომა ბავშვებს მცდარ წარმოდგენას უყალიბებს, რომ ბიჭის ცელქობა მისაღებია, ტირილი კი მხოლოდ გოგოს ეპატიება.

პედაგოგებმა ყურადღება უნდა მიაქციონ დამოკიდებულებებისა და ღირებულებების გამოხატვის როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ფორმებს. მაგალითად, მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლეს არაფერი უთხრას დამამცირებელი, მაგრამ მისი მიმიკა იყოს ასეთი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსწავლეებს ხშირად, სხვადასხვა მიზეზის გამო, სათქმელის ბოლომდე თქმა არ სურთ. მასწავლებელმა მათ ჟესტებში, მიმიკებში უნდა ამოიკითხოს განწყობა.

ასევე აუცილებელია, რომ პედაგოგმა საკლასო ოთახში ისეთი გარემო შექმნას, რომელშიც მოსწავლეები თავს კომფორტულად იგრძნობენ. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა აგრძნობინოს, რომ მისთვის ღირებული და მნიშვნელოვანია მისი ინტერესები, თავისებურებები. მან უნდა უბიძგოს მოზარდებს შეკითხვების დასმისკენ და ამ გზით დაეხმაროს ცოდნის შეძენაში და არა ფაქტების მექანიკურად დამახსოვრებაში. ამავე დროს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსწავლეების კულტურულ და სოციალურ გამოცდილებებზე, ის ყოველდღიური რიტუალები უნდა გაითვალისწინოს, რაც მათთვის მნიშვნელოვანია.

როგორც ჩანს, სკოლებს და განსაკუთრებით, მასწავლებლებს უფრო რთული მისია აკისრიათ, ვიდრე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აკადემიური მიზნების მიღწევაა. ასე რომ, აუცილებელია, მასწავლებლები თავიდან ბოლომდე აცნობიერებდნენ ფარულ რისკებს და ცდილობდნენ, ნეგატიური სოციალური ღირებულებები დადებით უნარებად გარდაქმნან და დაამკვიდრონ სკოლასა და მოსწავლეებში.

შეზღუდული რესურსები, მასწავლებლის რთული გამოწვევა

საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა სახის რესურსების ნაკლებობას ვხვდებით, რაც მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ინფრასტრუქტურული რესურსების ნაკლებობა შესაძლოა ფინანსურ ან ტერიტორიულ/გეოგრაფიულ ფაქტორებს უკავშირდებოდეს, ან სტრატეგიული დაგეგმარების სისუსტით და ფონდების მოზიდვის ტექნიკის არცოდნით იყოს გამოწვეული. ზოგჯერ რესურსების სიმწირე სასარგებლო რესურსების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება, ზოგჯერ კი სუსტი ლოგისტიკისა და მენეჯმენტის შედეგია. ზოგჯერ რესურსების სწორად განვითარებისა თუ გამრავალფეროვნების ხელშესაწყობად სათანადო მოტივაცია არ არსებობს.

თეო ნეფარიძე

ხშირად პარადოქსულ სიტუაციებს ვხვდებით რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მაგალითად, მშობლებმა ბავშვი შესაძლოა მთელი წლის განმავლობაში არ ან ვერ უზრუნველყონ სასწავლო სახელმძღვანელოებით, თუმცა მისთვის ძვირადღირებული ტელეფონი და სათამაშო კომპიუტერი თავისუფლად შეიძინონ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სწავლების სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა ტიპის რესურსის ხელმისაწვდომობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, როდესაც სკოლას ან ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებას რესურსებით გამდიდრება სჭირდება, საკმაოდ რთულია პრიორიტეტების სწორად დასახვა და ისეთი სტრატეგიის შერჩევა, რომლის განხორციელების შედეგიც არა მხოლოდ რესურსების მოპოვება, არამედ სწავლების პროცესის გაუმჯობესება იქნება.

ცნობილია, რომ რესურსების რაოდენობის ზრდა სწავლისა და სწავლების ხარისხის ავტომატურად გაზრდას არ ნიშნავს. რესურსების მოპოვება მათი გამოყენების სტრატეგიის გარეშე არამიზნობრივ ხაჯვასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე პოზიტიურ მიღწევებთან. რესურსების გამოყენება აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს უკეთესი აკადემიური შედეგების მიღებას. მაგალითად, ინტერნეტის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, თუ დავალებას კურიკულუმთან და სასწავლო მიზნებთან პირდაპირი კავშირი არ აქვს.

რესურსებისა და სასწავლო შედეგების ურთიერთკავშირის შესახებ ჩატარებული არაერთი კვლევა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. ერთ-ერთი კვლევით დადგინდა, რომ 2006 წელს ამერიკაში (ეს ქვეყანა განათლების სფეროში რესურსების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის), ვაშინგტონის საჯარო სკოლებში საშუალოდ ერთ მოსწავლეზე წლიურად 11,300 ა.შ.შ. დოლარი იყო გამოყოფილი. ასეთი მაღალი ბიუჯეტის მიუხედავად, ამ სკოლებს საკმაოდ სუსტი აკადემიური მიღწევები ჰქონდათ.

შეზღუდული რესურსებით მუშაობა მასწავლებლისთვის რთული გამოწვევაა, თუმცა მეტად სასარგებლო გამოცდილებაა პროფესიული განვითარებისთვის. შეზღუდული რესურსების უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს. ეს შეიძლება იყოს ისეთი ტექნიკის არქონა, როგორიცაა ტელევიზორი, ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონი, პრინტერი, ქსეროქსი,

ლაბორატორია. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, იზღუდება მასწავლებლის შესაძლებლობა, მოამზადოს მრავალფეროვანი და სრულყოფილი გაკვეთილი. თუმცა, როგორც ზემოაღნიშნული კვლევა გვაჩვენებს, ფინანსური და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა პროფესიონალი მასწავლებლის გარეშე უკეთეს აკადემიურ შედეგებს ვერ მოგვცემს. ამდენად, ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესში, რომელშიც მასწავლებლის პროფესიონალიზმი და სწორად შერჩეული რესურსები ერთმანეთს ერწყმის, სასწავლო შედეგები მნიშვნელოვნად დიდია.

ნებისმიერი რესურსის მოპოვება საინტერესოდ და სასურველად მიიჩნევა – განსაკუთრებით მაშინ, როცა რესურსების ნაკლებობას განვიცდით, თუმცა, ამ შემთხვევაში, სელექციურობა ან გამოყენების სტრატეგიის შემუშავება აუცილებელი პირობა უნდა იყოს. პირველ რიგში, ახალი რესურსის შემოტანით თითოეული მოსწავლე გარკვეულ სარგებელს უნდა იღებდეს. გამოყენებული რესურსი მოსწავლეთა ასაკის და საგნობრივი მასალის შესაბამისი უნდა იყოს. რესურსების მობილიზების დროს, პრიორიტეტების დადგენისას, მიზნად უნდა დავისახოთ იმ რესურსების მოპოვება, რომლებიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს და რომელთა ეფექტურ გამოყენებას დაუყოვნებლივ შევძლებთ.

იმის გათვალისწინებით, რომ რესურსების მობილიზება და გამოყენება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, მასწავლებელს, უმეტეს შემთხვევაში, თავად უხდება შემოქმედებითი უნარის გამოვლენა, რათა არსებული რესურსები გადააფასოს და ინოვაციურად გამოიყენოს. სანამ კონკრეტული იდეებისა და რჩევების განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საგაკვეთილო პროცესში დამატებითი რესურსების ჩართვა კიდევ უფრო ზრდის გაკვეთილის წინასწარ დაგეგმვის საჭიროებას. გაწერილი უნდა იყოს რესურსის გამოყენების სარგებლიანობა, მისაღწევი საგანმანათლებლო მიზნები, რესურსით მუშაობის ფორმატი, მოსწავლეთა განაწილება, დავალების ინსტრუქციები, შეფასების ფორმები და ა.შ.

საგაკვეთილო პროცესის გამდიდრების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია კლასში **რეალური**

ნივთების შეტანა. ეს მეთოდი სხვადასხვა საგნის სწავლებაში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება გამოვიყენოთ. მაგალითად, უცხო ენის სწავლებისას მოსწავლეებს შეგვიძლია დავავალოთ ხილის, ბოსტნეულის, ჭურჭლის, ტანსაცმლის გაკვეთილზე მოტანა და მათი დახმარებით შევასწავლოთ ახალი ლექსიკა. ისტორიაში შესაძლებელია ფულის ერთეულების – ბანკნოტების ან მონეტების გამოყენება, მათზე გამოსახული ისტორიული პირის ან მოვლენის განხილვის მიზნით. გეოგრაფიაში შეიძლება ქვის, ფანქრის გულის, ცარცის ან ნახშირის გამოყენება დედამიწის ქანებისა და მინერალების შესწავლისას, ქიმიაში – შაქრის, მარილის, წყლის გამოყენება ქიმიურ ცდებში. ფიზიკაში შესაძლებელია მობილური ტელეფონის, რადიოს ან ნებისმიერი ელექტრო აპარატურის გამოყენება ენერგიის წარმოქმნისა და გადაცემის საკითხების შესწავლისას, სათვალის გამოყენებით სინათლის გარდატეხის კანონების განხილვა. გეომეტრიაში შესაძლებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული ნივთების ან სამშენებლო მასალების დახმარებით სამგანზომილებიანი ფიგურების შესწავლა, ბოტანიკაში ხის ნაჭრის, ყვავილის ან ხის ფოთლების დახმარებით – ფოტოსინთეზის ან მცენარეების ზრდა-განვითარების საკითხების განხილვა და ა.შ.

შემდეგი მეთოდი ეფექტური სწავლების პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმადაც აუცილებელია **სასწავლო მასალასა და შემსწავლელის გამოცდილებას შორის კავშირების მოძებნა**, რათა სწავლება კონკრეტულ კონტექსტს უკავშირდებოდეს. სწავლების ეფექტური საშუალებებია საველე გასვლები ან სიმულაციები. მაგალითად, მაღაზიაში ან რესტორანში საველე გასვლა (ან სიმულაცია) შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც უცხო ენის, ისე მათემატიკის გაკვეთილზე. გეოგრაფიაში, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შესწავლისას, მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ ახალი პოლიტიკური ან ეკონომიკური კავშირის მოდელირება და მასზე მსჯელობა.

შემდეგი რჩევა მოსწავლეთა მონაწილეობის ზრდასა და მათი ინტერესის ხარისხს შორის კორელაციას ეფუძნება და მათ მიერ სხვადასხვა **სასწავლო რესურსის**, პლაკატების, ცხრილების, მოძრავი ანბანის და ა.შ., **შექმნას** გულისხმობს. მაგალითად, მოსწავლეები შეგვიძლია ჯგუფებად დავყოთ და მათ დავავალოთ, შეჯიბრისთვის შექმნან მათემატიკური გამოცანა-ცხრილები. მოდელის სახით შეგვიძლია ერთ-ერთი ასეთი ცხრილი წარვუდგინოთ. ქვემოთ მოცემულ მაგალითში დავალებას შემდეგნაირი ფორმულირება ექნება: გამოიცანით, რა პრინციპით არის დაწყობილი ცხრილში რიცხვები და შეავსეთ ყოველი გაფერადებული გრაფა.

3	6				18	
		30				42
				57		

ცხრილში რიცხვები დაწყობილია სამობით ზრდადობის მიხედვით, 3-დან 63-მდე. ყოველი მესამე გრაფა ყვითლადაა გაფერადებული. ყვითელ გრაფაში მოცემული ყველა ორნიშნა რიცხვის ერთეულთა ჯამი 9-ს შეადგენს (18 = 18+1, 27 = 2+7 და ა.შ.).



> „რესურსების გამოყენება აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს უკეთესი აკადემიური შედეგების მიღებას. მაგალითად, ინტერნეტის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, თუ დავალებას კურიკულუმთან და სასწავლო მიზნებთან პირდაპირი კავშირი არ აქვს.“

ასეთი ტიპის ცხრილში არა მხოლოდ სამი, არამედ ათი და მეტი რიგი ან სვეტიც შეიძლება იყოს. ამგვარი დავალების მთავარი დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ მოსწავლეები საკუთარი დონისა და გამოცდილების შესაბამის ცხრილს შექმნიან; ასევე, თანატოლთა შორის გამოცდილების გაზიარებით კოოპერაციულ სწავლებაში ჩაებმებიან.

რესურსების ნაკლებობის დაძლევის კიდევ ერთი საინტერესო მეთოდია გაკვეთილის გამდიდრება ჟურნალების, გაზეთების ან დამატებითი საკითხავი **წიგნებიდან ამოღებული ამონარიდებით**. აქაც, მოსწავლის ჩართულობის ხარისხი მაღალია, ხოლო სასწავლო პროგრამის გამრავალფეროვნების შესაძლებლობა – დიდი. სასურველია, ყურადღება შევაჩეროთ კროსვორდებზე, რომელთა გამოყენებაც ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში სახალისო და საინტერესოა. შეგვიძლია გამოვიყენოთ ისინი ახალი თემის გაცნობის წინ, მოტივაციის სახით ან შესწავლილი მასალის შესაფასებლად. შეგვიძლია მოსწავლეებსაც დავავალოთ კროსვორდის შექმნა. კიდევ ერთი დადებითი მხარე ის არის, რომ მათი გამოყენება ყველა საგანში ერთნაირი წარმატებით შეიძლება.

სასწავლო მასალების გარდა, მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ის გარემო/სივრცე, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. ამდენად, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება **საკლასო ოთახის მოწყობას**. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კლასში ავეჯი და მასალები იდეალურადაა განლაგებული, მაინც სასურველია დრო და დრო კლასის ინტერიერის რეორგანიზება. ერთგვაროვან სივრცეში ბავშვისთვის მომაბეზრებელი ხდება ყოფნა და შესაბამისად, სწავლის პროცესიც. გარემოს შეცვლის კიდევ ერთი საშუალება **ღია ცის ქვეშ გაკვეთილის ჩატარებაა**. მაგალითად, ღია ცის ქვეშ წარმატებით შეიძლება ჩავატაროთ ბუნების, გეოგრაფიის, ბოტანიკისა და ლიტერატურის გაკვეთილები.

რესურების ნაკლებობა განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს დიდ კლასებში. მცირეკონტინგენტიან კლასში, რესურსების შეზღუდვის პირობებშიც კი, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ინდივიდუალურად დაუთმოს ყურადღება, რაც დიდ კლასში პრაქტიკულად შეუძლებელია. უფრო მეტიც, თუ მაღალკონტინგენტიანი კლასების ეფექტურად წარმართვის პრინციპებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ კლასების მართვაში არსებულ პრობლემებს სწორედ რესურსების მრავალფეროვნებით ვებრძვით. ამდენად, რესურსების ოპტიმალურად გამოყენება დიდ კლასებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

დიდ კლასში რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს აქტივობების მოდიფიცირება, მასწავლებლის როლისა და მოსწავლეთა შორის ინტერაქციის ფორმების სწორად განსაზღვრა. მაგალითად, როდესაც მას სურს, ახალი ტექსტი გააცნოს მოსწავლეებს და არ აქვს ასლების გადაღების საშუალება, შესაძლებელია ტექსტის დაჭრა და ჯგუფებად დაყოფილი ბავშვებისთვის დარიგება, რომლებიც გარკვეულ მონაკვეთს გაეცნობიან და შემდეგ სხვებს გადასცემენ. რაც შეეხება მასწავლებლის როლს, ხშირ შემთხვევაში, დიდ კლასში მასწავლებელს საკმარისი რესურსი არ აქვს იმისათვის, რომ თითოეული მოსწავლის ჩართულობას, დავალებების შესრულების პროცესს და ჯგუფურ მუშაობას დააკვირდეს. ასეთ დროს შესაძლებელია თავად მოსწავლეთა რესურსის გამოყენება და მათთვის, მონაცვლეობით, თანატოლთა დამკვირვებლის როლის დაკისრება.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ რესურსების იდენტიფიცირება და ეფექტურად გამოყენება ყოველთვის შეიძლება. მთავარია, მასწავლებელმა კარგად იცოდეს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს თითოეული რესურსი და დამხმარე მასალის გამოყენებამ როგორ უნდა შეუწყოს ხელი წინასწარ განსაზღვრული აკადემიური მიზნების მიღწევას.

ისტორიის სწავლების მნიშვნელობისთვის

ირაკლი კაკაბაძე

„მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ისე, რომ მათ გაიგონ ისტორია და ის, რომ როგორც ჩვენ მას ვასწავლით, არ არის რაღაც ერთხელ და სამუდამოდ ქვაში ამოკვეთილი. წარსული არასოდეს არ შეიძლება აღვადგინოთ მთელი სიზუსტით და ისტორიის სწავლება არასოდეს შეწყდება – შეუძლებელია ისტორიის სრული და საბოლოო შეცნობა. ისტორია აუცილებლად მიკერძოებულია, ვინაიდან მისი მოწმეები არასოდეს არ არიან მიუკერძოებლები... ისტორიას წერენ ცოდვილი და სუბიექტურად განწყობილი ადამიანები“.

დოქტორი დევიდ ლოუვენტალი

თანამედროვე სკოლაში ისტორიის სწავლების მიზნების შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის გამომრიცხავიც კი. მოსაზრებების განსხვავებულობას ყველა საზოგადოებასა და საგანმანათლებლო სისტემაში სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს. როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, საქართველოშიც უპირველეს დაბრკოლებად ისტორიის სწავლებაში საბჭოთა ხედვა და მეთოდები გვესახება, რაც მემკვიდრეობით გვერგო და რამაც დიდი ხნის განმავლობაში საკუთარი წარუშლელი კვალი დატოვა ყველა სფეროში. სხვანაირად და უფრო გასაგებად რომ ვთქვათ ეს არის ძველის და ახლის, იდეოლოგიზირებული საგნისა და თავისუფალი აზროვნების დაპირისპირება.

დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ მოზარდთა ისტორიის ცოდნის ხარისხზე ყველაზე მეტად სკოლაში ისტორიის სწავლების მიზნის არასწორი განსაზღვრა აისახება. ისტორიის ყველა მასწავლებელი მიჩნევს, რომ ისტორიის ცოდნა თითოეული განათლებული ადამიანის მსოფლმხედველობას განსაზღვრავს, თუმცა მათი შეხედულებები საგნის სწავლებასა და მის მიზნებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანწილად განსხვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანი და ამოცანები, ასევე ის უნარ-ჩვევები რაც ამ საგნობრივმა ჯგუფმა უნდა განუვითაროს მოსწავლეს:

- სივრცეში ორიენტირება
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კომუნიკაცია
- სწავლის უნარი
- კვლევა
- შემოქმედებითი უნარი
- ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა
- თანამშრომლობა
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა
- ტოლერანტობა
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხებს შორის კავშირების დადგენა
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრა
- საზოგადოებრივი სიტუაციებისა და პროცესების მოდელირება
- სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება
- საგანგებო ვითარებებში მოქმედება

> „ისტორიის საგანი არის – „აზროვნების კრებული“, რაც მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, ახსნან და რამაც მათ უნდა განუვითაროს – პრობლემატიკის ანალიზისა და დასმულ კითხვებზე პასუხის მოძებნის უნარი.“

„ თუ ჩვენი მიზანი იქნება, ისტორიული ფაქტების ანალიზის მეშვეობით მოზარდს განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება და ანალიზის უნარი, ეს მას მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუნარჩუნდება და წარსულის ცოდნა მომავლის საუკეთესო იდეებს აღმოაჩენინებს. “



ნაწილი პედაგოგებისა, მაინც ისტორიის საგანს განიხილავს, როგორც „ცოდნის კრებულს“, ანუ რაც მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ და დაიმახსოვრონ და მცდარად მიიჩნევენ შეხედულებას, რომ ისტორიის საგანი არის – „აზროვნების კრებული“, რაც მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, ახსნან და რამაც მათ უნდა განუვითაროს – პრობლემატიკის ანალიზისა და დასმულ კითხვებზე პასუხის მოძებნის უნარი.

მშრალი ისტორიული თარიღების ცოდნა, არა მხოლოდ მოზარდთა გონებრივ განვითარებასა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში ვერ გვეხმარება, უფრო მეტიც, ეს ცოდნა მოკლე ხანში დავიწყებას ეძლევა და ხშირ შემთხვევაში სასწავლო წლის ბოლომდეც აღარ ახსოვთ მოსწავლეებს.

ასევე კვლევების მიხედვით, მოსწავლეთა ისტორიით დაინტერესებას, სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად, როგორიცაა: სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელოები, რესურსები, საათობრივი ბადე და ა.შ. გადამწყვეტი როლი მასწავლებლის პროფესიონალიზმს (მომზადებას) ეკისრება. არადა, როგორ უნდა ვუპასუხოთ მოსწავლეებს, რომელთაც ხშირად უჩნდებათ შეკითხვა: რატომ სწავლობენ ამა თუ იმ მეცნიერებას, თუ თავად არ ვართ გარკვეული ჩვენი საგნის მიზანსა და ამოცანებში?

თუ ჩვენი მიზანი იქნება, ისტორიული ფაქტების ანალიზის მეშვეობით მოზარდს განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება და ანალიზის უნარი, ეს მას მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუნარჩუნდება და წარსულის ცოდნა მომავლის საუკეთესო იდეებს აღმოაჩენინებს. თანამედროვე სკოლის უპირველესი ამოცანაც მოსწავლის მომზადებაა კონკურენტული გარემოსთვის, სკოლამ წარმატებული ადამიანები უნდა მოუმზადოს საზოგადოებას, რაც სხვა თვისებებთან ერთად (შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, პატიოსნება და ა.შ) დამოკიდებულია ცოდნის უნარ-ჩვევებზე, რასაც მოსწავლეები განათლების გზით ღებულობენ.

მოსწავლემ აუცილებელია გაიგოს და გაიაზროს ისტორიული ფაქტები, თუმცა ამავდროულად მან უნდა შეძლოს წარსულის მოვლენების სხვადასხვა მოსაზრებების, ვერსიების, შეცდომების გაანალიზება და საკუთარი დამოუკიდებელი დასკვნების გაკეთება. ასევე მოსწავლე უნდა ხვდებოდეს, რომ მისი დასკვნებიც და შეხედულებებიც შეიძლება გადაისინჯოს და სხვა არგუმენტებით გაბათილდეს.

ასეთი პროცესის ხელშესაწყობად ლიბერალური განათლების ტრადიციის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლემ შეძლოს ადამიანის განვითარების ეტაპების გაანალიზება და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი მოაზროვნეების იდეების გაგება. იმ ადამიანების იდეებისა, ვინც ყველაზე ღრმა კვალი დაამჩნია მომდევნო თაობების აზროვნებას.

მარკ ბლოკს(1866-1944), რომელიც ლ. ფევრთან ერთად, ჟურნალ „ანალების“ დამაარსებელი იყო და რომლის ნაშრომიც „ისტორიის აპოლოგია, ანუ ისტორიკოსის ხელობა“ ("Apologie pour l'histoire; ou, m tier d'historien") საყოველთაოდ ცნობილია, მიაჩნია, რომ ისტორია არის არა წარსულის შესწავლა, არამედ მეცნიერება წარსულში მცხოვრები ადამიანების შესახებ... ხოლო მისი შესწავლის აუცლებლობა სამ ძირითად საკითხს უკავშირდება, იმას რომ საინტერესოა; ავსებს ახალი იდეებით ადამიანის ცხოვრებას და ანვითარებს ადამიანის აზროვნებას.

სკოლაში ისტორიის სწავლების მიზანის გაურკვევლობასთან დაკავშირებით, საინტერესო მაგალითად მიგვაჩნია, საქართველოში განათლების რეფორმის შემდეგ გაჩენილი დისკუსიები ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების შესახებ, როდესაც მასწავლებელთა უმეტესობა სკეპტიკურად განეწყო იმ თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების მიმართ რასაც სახელმძღვანელოების თემატიკა და შინაარსი ეფუძნებოდა. დღეს კი, ჩვენი დაკვირვებით მოსწავლეთა შორის მოტივაციის მაღალი ხარისხი, სწორედ ისტორიული კვლევის მეთოდებს, დისკუსიებს, პროექტებზე მუშაობასა და დამოუკიდებელ სავარჯიშოებს უკავშირდება.

თანამედროვე მოზარდებს ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალება გააჩნიათ, რასაც აქტიურად იყენებენ კიდეც. გარკვეულ ეტაპზე მათ უყალიბდებათ ინფორმაციის მოპოვების უნარ-ჩვევა, ჩვენი მოსწავლეებისთვის ადვილია მოიპოვონ რუსეთ-თურქეთის ომის თარიღი, მაგრამ მათ გაუჭირდებათ დამოუკიდებლად გამოარკვიონ მიზეზები და გაანალიზონ შედეგები. ამიტომ აუცილებელია, თანამედროვე მასწავლებელმა გაითვალისწინოს

განათლების სფეროში მომხდარი ცვლილებები, საკუთარ პრაქტიკაში დანერგოს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, რამაც დიდი გავლენა იქონია სწავლის, სწავლებისა და სასწავლო სტრუქტურების ყველა ასპექტზე.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიის სწავლებას სკოლაში ყველაზე მეტად შეუძლია დაეხმაროს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნების განხორციელებას, რის საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) **ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და დღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:**
სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) **ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:**
მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) **ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:**
დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) **დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:**
სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) **იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:**
სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) **საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;**
სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის.

ზ) **კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:**
სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა,მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) **იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:**
დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მხატვრული ლიტერატურა სკოლაში

წერილი მეორე: დასკვნები და რჩევები

მალხაზ ხარბედია

ვინც ჩემი წინა წერილი წაიკითხა, ყურადღებას მიაქცევდა, რომ განსაკუთრებული აქცენტი ბავშვებისთვის ერთგვარი თავისუფალი სივრცის შექმნაზე მქონდა გაკეთებული – იმაზე, რომ ლიტერატურა, პირველ რიგში, ალტერნატიულ სამყაროს აგებს, მოსწავლეებს თავისუფლებას ასწავლის, შესაბამისად კი, აზროვნებისა და კრიზისების დაძლევის უნარებს უვითარებს. ისიც აღვნიშნე, რომ მასწავლებლები ხშირად იწუნებენ ხოლმე ე.წ. აქტუალურ, პასუხისმგებლობით სავსე, მებრძოლ ლიტერატურას და მასში გარკვეულ საფრთხეებს ხედავენ. ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა, მასწავლებლისა და ზოგადად, ლიტერატურასთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანების გაბედულება კი ცალკე საუბრის თემადაც შეიძლება იქცეს.

ეს გაბედულება, შესაძლოა, გადამწყვეტიც აღმოჩნდეს მოზარდის ჩამოყალიბებაში. სწორედ გაბედულებისა და დიდი ფიქრის შედეგად შეიძლება დავიმსახუროთ იმის უფლება, რომ მოზარდებს რაღაც ვურჩიოთ და ვასწავლოთ. ნებისმიერი რჩევა ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, რომლის საკუთარ თავზე აღება ყოველთვის ძნელია. მეც ხშირად მიწევს ამგვარი რჩევების მიცემა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხშირად მეკითხებიან. ნამდვილად არ არის სასიამოვნო იმაზე თავის მტვრევა, თუ რა შეიძლება წაიკითხოს შენთვის უცნობმა მოზარდმა, რომელსაც იმ კონკრეტულ პერიოდში შესაძლოა სულაც არაფერი მისცეს ამა თუ იმ წიგნმა. იქნებ წაკითხული აქვს ის წიგნები რომლებსაც ურჩევ? ან ჯერ არ მომწიფებულა? ან იქნებ მშობელმა იეჭვიანოს რომელიმე წიგნზე და სულაც გამრყვნელის როლში აღმოჩნდე ძალაუნებურად? ცხადია, ყოველი მოზარდი განსხვავებულ მიდგომას იმსახურებს, თუმცა ჩემი და სხვების გამოცდილება საფუძველს მაძლევს, გარკვეული ზოგადი რჩევები ჩამოვაყალიბო ამ თემასთან დაკავშირებით და მწერლებისა და ნაწარმოებების მოკლე სიებიც შემოგთავაზოთ.

უკვე ბევრი ვილაპარაკე თავისუფლებაზე – იმაზე, რომ არ უნდა შევზღუდოთ ბავშვები და არ უნდა დავთრგუნოთ საკუთარი წარსულით, თუმცა ეს თავისუფლება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ნებაზე მივუშვათ და მათ თვალსაწიერის გაფართოებაში არ დავეხმაროთ. დღეს ლიტერატურულ პროცესებს, ყოველ შემთხვევაში, მის ყველაზე დემოკრატიულ დინებებს, ინტერნეტი მართავს. ბლოგერების, ინტერნეტ-პორტალების, ლიტერატურული ფორუმებისა და თუ პირადი საიტების გარშემო იკრიბებიან ის ადამიანები, რომლებიც ხშირად ერთ წრეში ტრიალებენ და მოვლენების საღად შეფასების უნარს კარგავენ, სხვები კი, პირიქით, აქაც ახერხებენ თავისთვის სასარგებლოს აღმოჩენას, რაც კარგ გავლენას ახდენს მათ განვითარებაზე. დღესდღეობით მოზარდთა მთავარი საკითხავი ფეისბუკზე დადებული მეგობრების სტატუსები და ლინკებია, ან ის ტექსტები, მათ შორის, ბლოგები, რომლებიც ყოველდღიურად ასობით იწერება ქართულ ენაზე. სწორედ ამ ტექსტების უსიერ ტყეში გარკვევაა ძალიან მნიშვნელოვანი და ჩვენი მოკრძალებული რჩევებით შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მოზარდებს, რათა მათი გატაცებები კულტურული აუტიზმის ფორმად არ იქცეს და ლიტერატურულმა ინტერესებმა მათ კარჩაკეტილობისკენ არ უბიძგოს.

ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ საკითხავი, რაც შეიძლება, მრავალფეროვანი იყოს. ჯერ ერთი, სასურველია, მოზარდი (უფროსკლასელი) ორ ენაზე მაინც კითხულობდეს წიგნებს – ცხადია, მშობლიური ენის უპირატესობით. ეს მას ხელს შეუწყობს, სხვადასხვა ენაზე იაზროვნოს და ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურული წყაროებიდან მიიღოს ინფორმაცია, ამბავი, ნარატივი. უცხო ენა, გარკვეული თვალსაზრისით, ანტიდეპრესანტიცაა. მას ადვილად გამოყავს მოზარდი დახშული სივრციდან, დახშულობისა და კარჩაკეტილობისკენ კი, მოგეხსენებათ,

მოზარდები ხშირად არიან მიდრეკილი. თანაც გაითვალისწინეთ, რომ ამ რჩევას იძლევა ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე პრობლემა ჰქონდა ენებთან დაკავშირებით და ეს უცხოელებთან კომუნიკაციაშიც აისახებოდა. მართალია, ამ ნაკლოვანებას კითხვით და უზარმაზარი ინფორმაციით ვინაზღაურებდი, მაგრამ მან ტრავმული კვალი მაინც დამიტოვა.

დავუბრუნდეთ მრავალფეროვან საკითხავს. არაფერი ისე ცუდად არ მოქმედებს მოზარდზე, როგორც აკვიატებები და ერთი ადგილის ტკეპნა. მოერიდეთ გადაბმით კითხვას, ანუ ერთი ავტორის რომელიმე ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ შეეცადეთ, ცოტა ხნით მაინც დაისვენოთ მისგან და სხვა მწერლის წიგნს მიაკითხოთ. ერთი და იმავე ავტორის გადაბმულად კითხვა ნებისმიერ ასაკში არასასურველ ეფექტს იძლევა და მით უმეტეს, 15-18 წლის ახალგაზრდებში არაფერს ტოვებს ასეთი ლაშქრობები კლასიკოსთა ტერიტორიებზე. საკუთარი გამოცდილებაც შემიძლია გაგიზიაროთ და გითხრათ, რომ მეც შევცდი ერთი-ორჯერ და იმ დროს წაკითხულიდან თითქმის ვერაფერი დავიმახსოვრე, რის გამოც მოგვიანებით ხელახლა მომიწია, მაგალითად, დოსტოევსკის წაკითხვა. ჰენრიკ იბსენის დრამებიდან საერთოდ არანაირი მოგონება არ დამრჩა, მხოლოდ ერთი კითხვა არ მასვენებს ხოლმე: რატომ გავიმეტე თავი ასე, რომ იბსენის 4 გიგანტური ტომი ერთმანეთის მიყოლებით წავიკითხე? გარანტიას გაძლევთ, „ჭრელი“ თანამიმდევრობით კითხვა არასდროს მოგწყინდებათ, რადგან ზუსტად გეცოდინებათ, რომ წიგნის დასრულების შემდეგ სრულიად სხვა ენაში, განსხვავებულ გარემოში და წინასგან დაშორებულ ეპოქაში აღმოჩნდებით.

განსაკუთრებით დამთრგუნველ გავლენას ახდენს მოზარდებზე მშობლების გემოვნება. არაერთი შემთხვევა ვიცი, როდესაც მშობელი ლიტერატურის ძალიან ვიწრო წრეში ტრიალებს და შვილსაც იმავეს ურჩევს, მაგ., კონსტანტინე გამსახურდიას ან გურამ დოჩანაშვილს. ანდა რად ღირს თუნდაც საკითხის ასე დასმა: „მთავარია ილია ჭავჭავაძე...“, „ტომ სოიერს თუ არ წაიკითხავ...“, „ვინ არ გაინტერესებს – გალაკტიონი?...“. შესაძლოა მოზარდი ბევრ სხვა რამესაც კითხულობდეს ამ ავტორების გარდა, მაგრამ მას მუდამ თან სდევდეს იმის განცდა, რომ ზემოთჩამოთვლილებთან შედარებით სხვა ავტორები მხოლოდ ფონს ქმნიან. მოგვიანებით კი, როდესაც სიმწიფეს მიაღწევს, იგი უკვე ღრმად იქნება დარწმუნებული, რომ მათი, ამ „მეორეხარისხოვანი მწერლების“ წაკითხვა ნამდვილად არ ღირდა, ხოლო კიდევ უფრო გვიან, ასაკში, ასეთ ადამიანს სინანულიც ეწვევა, რასაკვირველია, თუკი გაუმართლა და რაღაც-რაღაცეებს მიხვდა.

განსაკუთრებით სავალალო შედეგები მოაქვს გამსახურდიას, რობაქიძისა და დოჩანაშვილის ზღვარგადასულ კითხვას. სხვების დასახელებაც შეიძლება... არ მინდა, არასწორად გამიგოთ. ამ მწერლებს არაფერს ვერჩი. უფრო იმ უსაზღვრო კმაყოფილებას ვებრძვი, რომელიც ამ ავტორების ტკეპნას და დაზეპირებას ახლავს თან. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეს ავტორები წაკითხვის გარეშეც ავსებენ ქართველთა გულებს. გააჩერეთ ქუჩაში ნებისმიერი და ჰკითხეთ, ვინ არის მისი საყვარელი მწერალი. ის, პირველ რიგში, სწორედ ამ სამ ავტორს ჩამოგითვლით. მერე რა, რომ შეიძლება წაკითხულიც არ ჰქონდეს მათი ნაწერები.
ახლა კი დროა, უშუალოდ რჩევებზე გადავიდეთ – ყველაზე სარისკო და უმადურ საქმიანობაზე, რომელსაც ყოველთვის ვარიდებ ხოლმე თავს, თუმცა, ამ შემთხვევაში, თავის დაძვრენას ვერ მოვახერხებ, რადგან კონკრეტიკის გარეშე სათაურში გამოტანილი თემა უმარილო და შეუკმაზავი გამოვა.

ხალხურ, ეთნოგრაფიულ სიღრმეზე; გურამ დოჩანაშვილის ბრწყინვალე მოთხრობები; ნაირა გელაშვილი, რეზო გაბრიაძე, ერლომ ახვლედიანი... პოეზიიდან, რა თქმა უნდა: აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ცისფერყანწელები, ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ვახტანგ ჯავახაძე, დავით წერედიანი, იზა ორჯონიკიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, დავით წერედიანი, თამაზ ბაძაღუა.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურას 90-იანი წლებით დავიწყებდი. უფროსკლასელებს ყველაზე მძიმე ტექსტებსაც შევთავაზებდი, მაგალითად, ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიშს“. თუკი გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა იცოდნენ, რა იყო 90-იანი წლები, ირაკლი სამსონაძის ამ ნაწარმოების გარდა უნდა წაიკითხონ აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“ და „ფალიაშვილის ქუჩის

> ტექსტების უსიერ ტყეში გარკვევაა ძალიან მნიშვნელოვანი და ჩვენი მოკრძალებული რჩევებით შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მოზარდებს, რათა მათი გატაცებები კულტურული აუტიზმის ფორმად არ იქცეს და ლიტერატურულმა ინტერესებმა მათ კარჩაკეტილობისკენ არ უბიძგოს.

მოდით, **ქართული კლასიკით და ე.წ. თანამედროვე კლასიკით** შევუდგეთ სიის შედგენას. რადგან აგიოგრაფიულ ტექსტებსა და ვეფხისტყაოსანს სკოლაშიც ასწავლიან, პირდაპირ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეზე“ გადავალ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მცირე რომანია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ჭონქაძე შესაძლოა თავისი საუკუნის საუკეთესო მთხრობელი იყო და სწორედ ამიტომ, იმედია, მოზარდები ამბითაც დაინტერესდებიან, კულტურული დეტალებითაც და ძლიერი ენითაც. აუცილებლად ვურჩევდი ყველას, სრულად წაიკითხონ დავით კლდიაშვილის პროზა, ასევე მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და მისი რამდენიმე მოთხრობა, რათა შემდეგ „ჯაყოს ხიზნებისთვისაც“ მოემზადნონ. ვაჟას პროზა და ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ასევე ვასილ ბარნოვის ტფილისური მოთხრობები მათთვისაა, ვისაც წარსულში მყუდრო მოგზაურობა უყვარს. მოზარდებს ვურჩევდი ნიკო ლორთქიფანიძის ვრცელ მოთხრობებს, ცოტას – ლეო ქიაჩელიდან და ცოტას – დემნა შენგელაიადან, გურამ რჩეულიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, რეზო ინანიშვილს. კარგი იქნება, თუკი ისინი ოთარ ჭილაძესა და ჯემალ ქარჩხაძესაც გადაშლიან. კარგია რეზო ჭეიშვილის ძალიან ლაღი და ამავდროულად დაკვირვებული, ოსტატური პროზა უცნაური მწერლური სვლებით; ნუგზარ შატაიძის სავსე ენა და მისი გასაოცარი უნარი, სიტყვაში მოიხელთოს ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ აღარაფერი ვთქვათ „პურის მოთხრობის“

ძაღლები“, ასევე ზურა მესხის „სპაზმები“; აფხაზეთის ომზე – გურამ ოდიშარია, გელა ჩქვანავა და მარინე ელბაქიძის ერთი მოთხრობა; ახალი ქართული პროზიდან – ბესო სოლომანაშვილის „კონტრაბანდისტები“, ზაზა თვარაძის „სიტყვები“ და მისი მოთხრობები, ზურაბ ლეჟავას რამდენიმე მოთხრობა, კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“ და მისი ადრეული მოთხრობები, ლაშა ბუღაძის რომანები („კარიკატურისტის“ გამოკლებით).

ახალგაზრდა მკითხველებს ვურჩევდი, ლიტერატურულ პრესასაც ჩაკრან ხოლმე თვალი, განსაკუთრებით ისეთ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც თანამედროვე ლიტერატურა იბეჭდება. გაეცანით ყველა გამომავალ ანთოლოგიას – პოეტურსაც და პროზაულსაც – „15 საუკეთესო“ იქნება ეს თუ სხვა რომელიმე (ერიდეთ მხოლოდ ისეთ ანთოლოგიებს, სადაც განურჩევლადაა ჩაყრილი ყველა და ყველაფერი). მათი წაკითხვა მარტო იმიტომ ღირს, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის თქვენეული ხედვა და გემოვნება გადაამოწმოთ. იქნებ რომელიმე ნაწარმოები არ იყო შესატანი კრებულში? ან იქნებ უსამართლოდ დაიჩაგრა ვინმე?

თანამედროვე პოეტებიდან გირჩევდით ზაზა თვარაძეს, რუსუდან კაიშაურს, ანდრო ბუაჩიძეს, გიგი სულაკაურს, გივი ალხაზიშვილს, თემურ ჩხეტიანს, ნინო დარბაისელს, შოთა იათაშვილს, ნატო ინგოროყვას, ელა გოჩიაშვილს,

ბათუ დანელიას, დათო ბარბაქაძეს, ზვიად რატიანს, რატი ამაღლობელს, ლელა სამნიაშვილს, გიორგი ლობჟანიძეს, შალვა ბაკურაძეს, მაია სარიშვილს, ეკა ქევანიშვილს, დიანა ანფიმიადს, ნიკა ჯორჯანელს, ირაკლი კაკაბაძეს, პაატა შამუგიას, გიორგი კეკელიძეს.

არამხატვრული ქართული პროზიდან გამოვარჩევდი თედო სახოკიას „მოგზაურობანს“, სერგი მაკალათიას წიგნებს საქართველოზე, გერონტი ქიქოძის სტატიებს, იოსებ გრიშაშვილის პროზას („ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ გარდა, „საათნავას“ და კიდევ რამდენიმე სტატიას), გიორგი ლეონიძის შესანიშნავ კვლევებს სულხან-საბა ორბელიანზე, ბესარიონ გაბაშვილზე და სხვ.; აკაკი ბაქრაძისა და გურამ ასათიანის წიგნებს, ზურაბ ქარუმიძის „ჯაზის ცხოვრებას“...



აუცილებლად გასათვალისწინებელია **საუკეთესო ქართული თარგმანები,** რომლებიც უცხო ტექსტისა და მშობლიური ენის შეხვედრის ადგილია: დავით წერედიანის მიერ გადმოქართულებული ვიიონი და ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანები (ჰაფეზიდან მოყოლებული, რილკეთი და ბროდსკით დამთავრებული), თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილი აღმოსავლური და დასავლური პოეზია, თამაზ ჩხენკელისა და ზურაბ კიკნაძის მიერ პროზად თარგმნილი „ოდისეა“, გურამ გოგიაშვილის „გარგანტუა და პანტაგრუელი“, ჯემალ აჯიაშვილის ძველებრაული პოეზია, ბაჩანა ბრეგვაძის პლატონი, მარკუს ავრელიუსი, სერვანტესი, პასკალი, პოლ ვალერი, ტარიელ ჭანტურიას და გივი გეგეჭკორის მიერ გადმოქართულებული „მობი დიკი“, დალი ფანჯიკიძის „ჯადოსნური მთა“, ლევან ბერძენიშვილის „არისტოფანე“, შედარებით თანამედროვე ავტორებიდან – ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“, ლია ჩლაიძის თარგმანი, ასევე გიორგი ლობჟანიძის ძველი და თანამედროვე თარგმანები აღმოსავლური ლიტერატურიდან.

უცხოური კლასიკიდან მოზარდებს შევთავაზებდი ჰენრი დევიდ თოროს „უოლდენის“ რჩეულ თავებს (სხვათა შორის, ეს წიგნი სულ ცოტა ხნის წინ ითარგმნა ქართულად), ედგარ პოს მოთხრობებსა და ლექსებს, ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელს“, ასევე თომას მანის, ფრანც კაფკასა და ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობებს. სასურველია, უფროსკლასელებმა წაიკითხონ გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელი“, დოსტოევსკის „იდიოტი“ და „დანაშაული და სასჯელი“, პუშკინის პროზა, მიგელ დე უნამუნოს პროზა, ლუიჯი პირანდელოს „განსვენებული მატია პასკალი“, ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“, „აგვისტოს ნათელი“ და „აბესალომ, აბესალომი“, მიხაილ ბულგაკოვის პროზა, რობერტ ბერნსის ლექსები, ნიცშეს „ტრაგედიის დაბადება“ და „ზარატუსტრა“, სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ და მოთხრობები, კორტასარის „კლასობანა“ და ადრეული მოთხრობები, კნუტ ჰამსუნის „შიმშილი“ და „მისტერიები“, შექსპირიდან – „რომეო და ჯულიეტა“, „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“ და „მაკბეტი“; რა თქმა უნდა, „ილიადა“; ჯეიმს ჯოისის „დუბლინელები“ და „მხატვრის პორტრეტი ახალგაზრდობისას“, უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ და კენ კიზის „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“.

გარდა ამისა კარგი იქნება თუკი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურასაც ადევნებთ თვალს და წიგნების გარდა ესეებსაც წაიკითხავთ. დაქექეთ ინტერნეტი, ქსელი სავსეა თანამედროვე მწერლების შეფასებებით, განსჯებით, სხვა მწერლების შესახებ დაწერილი ნარკვევებით. თითქმის ყველა მნიშვნელოვან ჟურნალს, კლასიკური ნიუ იორკერიდან და პარიზ რევიუდან დაწყებული – ყველაზე ანდერგრაუნდული გამოცემებით დამთავრებული, შესანიშნავი საიტები აქვთ, ზოგი კი სულაც მხოლოდ ქსელის მეშვეობით ვრცელდება. ბევრ რამეს იპოვნიან ფრანგულ და გერმანულენოვანი მოსწავლეები და სტუდენტებიც.

ცხადია, ეს სიები უსასრულობამდე შეიძლება გაიზარდოს. ამ ჩამონათვალს ბევრი ვინმე აკლია, თუმცა მგონია, რომ, პირველი ეტაპისთვის, ეს ავტორები სრულიად საკმარისი იქნება. და, რაც მთავარია, შესაძლოა ჩემი რჩევები ბევრმა კრიტიკულად შეაფასოს, რაც კიდევ უფრო მეტად გაამართლებს ამ სტატიის დაწერის მიზანს.

მერაბ ლაბაძე

ღია საგანმანათლებლო რესურსები

ინტერნეტისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად, დამხმარე მასალების სასწავლო მიზნებით გამოყენება თითქმის შეუზღუდავად ხდება. შესაბამისად, ინგლისურენოვან ინტერნეტში ამა თუ იმ რესურსის მოძიება სირთულეს არ წარმოადგენს. საგანმანათლებლო რესურსების ძიებისას მნიშვნელოვანია მათი ხარისხი, გამოყენების უფლება და სასწავლო მიზანთან თავსებადობა. ამასთანავე, სულ უფრო პოპულარული ხდება ე.წ. თავისუფალი სასწავლო რესურსები, ანუ ისეთი მასალები, რომლებსაც ავტორები ღიად გვთავაზობენ, ყოველგვარი გადასახადის გარეშე. ღია სასწავლო რესურსები, ერთ-ერთი განმარტებით, არის „სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის გამოსაყენებელი რესურსები, რომლებიც საჯაროა; ან ამ რესურსებს აქვს ინტელექტუალური საკუთრების ისეთი ლიცენზია, რომელიც ნებას რთავს ნებისმიერ მომხმარებელს, თავისუფლად გამოიყენოს ისინი. ღია საგანმანათლებლო რესურსები მოიცავს სასწავლო კურსებს, კურსების მასალებს, მოდულებს, სახელმძღვანელოებს, ვიდეოებს, ტესტებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, სხვა საშუალებებს, მასალებს და ხერხებს, რომლებიც მოსწავლის ცოდნას ზრდის“.

ღია პროგრამული უზრუნველყოფა, ძირითადად, მოიცავს სასწავლო შინაარსის შექმნისა თუ მიწოდების ხერხებს, მისი მართვის სისტემებს, საძიებო სისტემებს, შინაარსის განვითარების საშუალებებს და ასევე, ქსელურ, თანამშრომლობით სივრცეს.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი რესურსების კონცეფცია ახლოსაა ღია კოდის პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელიც ქართველი მასწავლებლებისთვის ნაცნობია ლინუქსის ოპერაციული სისტემის მაგალითზე. განვითარების საწყის ეტაპზე კომერციული პროგრამები, ხარისხითა და სანდოობით, ღია პროგრამებს უსწრებდა. თუმცა ახლა, ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მზარდი რაოდენობით იქმნება ისეთი პროგრამები თუ რესურსები, რომლებიც კომერციულ ანალოგებზე უკეთესია. ამის მაგალითია ინტერნეტ ბრაუზერები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული – მოძილა ფაიერფოქსი სწორედ ღია კოდის პროგრამის პრინციპზეა აგებული.

ღია განათლების დეკლარაცია

ღია რესურსების შექმნა, გარკვეულწილად, უკავშირდება მოხალისეობას, ენთუზიაზმს და იმ ჰუმანისტურ წარმოდგენას, რომ, რაც შეიძლება, მეტი რესურსი თუ პროგრამა იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის. ამასთანავე, ასეთი რესურსების შექმნას ხელს უწყობს დონორი ან საქველმოქმედო ორგანიზაციებიც. 2007 წელს კეიპ თაუნის ღია განათლების დეკლარაცია მიიღეს, რომლის თანახმადაც, ღია რესურსები სწავლასა და სწავლებაში რევოლუციას ახდენს. განათლების მუშაკები ქმნიან და სხვებს უზიარებენ მზარდი რაოდენობის ღია რესურსებს. ისინი ხელს უწყობენ ისეთი სამყაროს ჩამოყალიბებას, სადაც ყველას შეუძლია მიიღოს კაცობრიობისათვის ხელმისაწვდომი ცოდნა.

ღია რესურსების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებად ქვეყნებში, სადაც განათლებისათვის განსაზღვრული ფინანსური რესურსები მწირია. ამასთანავე, ზოგჯერ მოსწავლემ, მასწავლებელმა ან განათლების ადმინისტრატორმა არც კი იცის, რომ ღია რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია.

კეიპ თაუნის დეკლარაციის ავტორები მოუწოდებენ განათლების სპეციალისტებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სკოლებს, კოლეჯებს, უნივერსიტეტებს, პროფესიულ გაერთიანებებს, მთავრობებს, პოლიტიკის შემქმნელებს, ფონდებსა და სხვებს, გაიზიარონ მათი ხედვა, მიიღონ მონაწილეობა ღია რესურსების განვითარებასა და პოპულარიზაციაში. განათლების სპეციალისტებისათვის ეს, პირველ რიგში, ნიშნავს ღია რესურსების შექმნას, გაუმჯობესებას, აქტიურ გამოყენებასა და გაზიარებას. ასეთი რესურსების ხელმისაწვდომობა გულისხმობს მათი თარგმნის, რედაქტირების საშუალებას და აგრეთვე მათ გავრცელებას აღიარებულ ტექნიკურ პლატფორმებზე, ფართოდ გავრცელებულ ფორმატში (მაგალითად, mp3 – მუსიკალური ფაილისათვის, html – ვებ-გვერდისათვის და სხვ.).

ღია საგანმანათლებლო პოლიტიკის მიღებისას, მთავრობები, სკოლები, უნივერსიტეტები ღია საგანმანათლებლო რესურსების პრიორიტეტულობას აღიარებენ. ეს გულისხმობს ღია კურსების აკრედიტაციას და თავისუფალი სასწავლო რესურსების განთავსებას სასწავლო ობიექტების საცავებსა თუ კოლექციებში.

> „საგანმანათლებლო რესურსების ძიებისას მნიშვნელოვანია მათი ხარისხი, გამოყენების უფლება და სასწავლო მიზანთან თავსებადობა. ამასთანავე, სულ უფრო პოპულარული ხდება ე.წ. თავისუფალი სასწავლო რესურსები, ანუ ისეთი მასალები, რომლებსაც ავტორები ღიად გვთავაზობენ, ყოველგვარი გადასახადის გარეშე.“

მასწავლებლისათვის ღია საგანმანათლებლო რესურსების შექმნის მოტივატორი შეიძლება იყოს როგორც ზემოთ ნახსენები ალტრუისტული მოსაზრებები, ასევე საკუთარი ნაშრომის სხვებისათვის გაზიარების გზით ცნობადობის მოპოვება და ავტორიტეტის ამაღლება. გარდა ამისა, რესურსის თავისუფლად გავრცელება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ნაყოფიერი, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს კოლეგებთან, იღებდეს კომენტარებს და ითვალისწინებდეს მათ.

განათლების სისტემისათვის ღია რესურსების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით. მათი გამოყენება ასევე ხელს უწყობს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის საზღვრების დაძლევას და სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობების ზრდას.

ღია სასწავლო რესურსების მაგალითები

ღია სასწავლო რესურსების მხარდაჭერის მაგალითს წარმოადგენს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) ღია კურსების პროგრამა, რომელიც 2002 წელს დაიწყო. მსოფლიოში წამყვანმა ტექნოლოგიურმა უნივერსიტეტმა კურსების მთლიანი კატალოგი ინტერნეტში განათავსა. ამჟამად აქ 2000 კურსია, რომლებიც სრულიად ღიაა მომხმარებლისათვის. თითოეული კურსი მოიცავს ვიდეო ლექციებს, ლექციების ტრანსკრიპციას და დამხმარე შენიშვნებს, ასევე საგამოცდო ინფორმაციას და პრობლემების გადაწყვეტას. პოპულარულ კურსებს შორის შეხვდებით კომპიუტერულ მეცნიერებებსა და პროგრამირებას, ფიზიკას, ბიოლოგიას, ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას და სხვ. (იხილე: ocw.mit.edu). ვიდეო ლექციები ხშირად პოპულარულ ვებ-საიტ youtube-ზეც არის განთავსებული.

ღია საგანმანათლებლო რესურსებს, როგორც ათასწლეულის განვითარების მიზნებისა (MDG) და „განათლება ყველასათვის“ ინიციატივების განხორციელებისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, მხარს უჭერს გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია იუნესკო (UNESCO).

თავისუფალი სასწავლო რესურსების ერთ-ერთი მზარდი და თანმიმდევრული კოლექცია განთავსებულია oercommons.org-ზე. ის

30 000-ზე მეტ თავისუფლად გამოყენებად რესურსს მოიცავს, საშუალო სკოლისა და საუნივერსიტეტო დონეებზე. მათგან აღსანიშნავია ღია სახელმძღვანელოები, რომელთა თემატიკა უკავშირდება როგორც სასწავლო დისციპლინებს, ასევე გამოყენებითი ხასიათის ცოდნას (მაგალითად, როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად პოპულარული MS Word პროგრამა აკადემიური ნაშრომის წერისას). ვებ-გვერდი ასევე სთავაზობს მომხმარებელს მეთოდურ რეკომენდაციებს კლასის ორგანიზებასა და მართვაში, სწავლების აქტიურ მეთოდებში და სხვ. აქვე ვნახავთ სატრენინგო მასალებს, თამაშებს, აუდიო ჩანაწერებს, კურიკულუმსა და სტანდარტებს, საკითხავ ტექსტებს, გაკვეთილების გეგმებს, სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებს, შეფასებებს.

უმაღლეს განათლებაში ღია რესურსების ყველაზე პოპულარულ კოლექციად ითვლება მულტიმედია საგანმანათლებლო რესურსი ონლაინ სწავლისა და სწავლებისათვის – MERLOT (www.merlot.org). აქ თავმოყრილია ღიად მოცემული, კოლეგების მიერ რედაქტირებული სასწავლო მასალები, პერსონალური კოლექციები, სასწავლო სავარჯიშოები. ასევე შესაძლებელია ქსელური თანამშრომლობა და საკუთარი სასწავლო მასალის შექმნა და განთავსება.

ღია რესურსების გამოყენება თანამშრომლობითი ხასიათისაა და მომხმარებელთა თუ ექსპერტთა ქსელების ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს.

ღია სასწავლო რესურსის მახასიათებლები

ღია სასწავლო რესურსების რაოდენობის ზრდასთან ერთად ექსპერტები და პრაქტიკოსები მათთან დაკავშირებულ პროექტებს სულ უფრო მეტად იკვლევენ და აანალიზებენ. იკვეთება მათი მახასიათებლებიც. ეკონომიკური განვითარებისა და კოოპერაციის ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, ასეთი მახასიათებლებია:

- **ლიცენზია.** ღია საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ლიცენზიაში ზუსტად უნდა იყოს ასახული მისი ადაპტაციისა და ხელახალი გამოყენების ნებართვის პირობები.
- **ფაილის ფორმატი.** ღია საგანმანათლებლო რესურსი უნდა გამოქვეყნდეს ისეთ ფორმატში, რომლის გახსნა, გადმოწერა და რედაქტირება ყველას შეუძლია დამატებითი კომერციული პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირების გარეშე.
- **დანაწევრებულობა.** იმისათვის, რომ ხელახლა ადვილად გამოვიყენოთ, ღია საგანმანათლებლო ობიექტი მცირე ნაწილებად უნდა იყოს წარმოდგენილი, ან მცირე ნაწილებად მისი დაყოფა იოლად უნდა შეიძლებოდეს.
- **მოძიებადობა.** ღია საგანმანათლებლო რესურსის პოვნა ადვილი უნდა იყოს.
- **ეფექტიანობა.** ღია საგანმანათლებლო რესურსი ეფექტიანი უნდა იყოს სწავლებისა და სწავლისათვის.

სასწავლო რესურსის დამატებითი მახასიათებლებიდან მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია მისი გამოყენების არეალი: კლასი, საგანი ან ინტეგრირებული საგნები და ასევე, მისი გამოყენების ხანგრძლივობა: გაკვეთილის ნაწილი, მთელი გაკვეთილი, ან თუნდაც მთელი სემესტრი.

ლიცენზიის საკითხი ინტელექტუალურ საკუთრებას უკავშირდება და მას ყურადღების მიქცევა თუნდაც იმიტომ სჭირდება, რომ საავტორო უფლებების დაცვა სამყაროს პროგრესის მნიშვნელოვანი საწინდარია.

ლიცენზირება

ღია საგანმანათლებლო რესურსების გავრცელებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო ინტელექტუალური საკუთრების ახალი ტიპის

ლიცენზიების შექმნამ. ასეთი ტიპის ლიცენ-ზიები, ძირითადად, Creative Commons (CC) მოძრაობას უკავშირდება. ისინი ზუსტად განსაზღვრავს ავტორის მიერ საკუთარი გამოქვეყნებული ნაშრომის გამოყენების პირობებს, რომლებიც განსხვავდება ტრადიციული – კომერციული პირობებისა-გან, თუმცა ავტორს საავტორო უფლებები უნარჩუნდება. არსებობს რამდენიმე ლიცენზია და მათი შესაბამისი აბრევიატურები.

ლიცენზია განსაზღვრავს იმ უფლებებს, რომლებსაც ნაწარმოების ავტორი ამ ნაწარმოების ხელახალი გამოყენების მსურველ პირს გადასცემს. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მიუთითებენ Creative Commons-ს (ე.წ. შემოქმედებით გაზიარებას), რაც მის თავისუფალ გავრცელებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ თუ ავტორი ითხოვს საკუთარი სახელის მითითებას მის მიერ შექმნილი სასწავლო ობიექტის გამოყენებისას, ლიცენზიას ემატება პუნქტი – ავტორობის მითითებით (abreviatura BY). თუ ავტორი საკუთარი ნაწარმოების მხოლოდ არაკომერ-ციულ გამოყენებას მოითხოვს, მაშინ ეს მოთხოვნაც შესაბამისი პუნქტით აღინიშნება – არაკომერციული გამოყენებისათვის (NC). ობიექტის გადამუშავების შესაძლებლობებს დამატებითი პირობები განსაზღვრავს. თუ ავტორი მისი ნაწარმოების გადამუშავებას ზღუდავს, მას შეუძლია მიუთითოს – გადამუშავების გარეშე (ND). თუ ავტორი საკუთარი ნაწარმოების ყოველ მომხმარებელს უფლებას აძლევს, გადააკეთოს ის და ამავე დროს გაზიარების იმავე პირობების შენარ-ჩუნებას ითხოვს, მაშინ ლიცენზიას ემატება აღნიშვნა – იმავე პირობებით გაზიარება (SA). მაგალითად, სასწავლო მასალების რომელიმე კოლექციაში აღმოჩენილ რესურსს შეიძლება ჰქონდეს მითითებული CC BY-NC-SA და შესაბამისი ლოგოტიპები. ეს ნიშნავს, რომ რესურსის გამოყენებისას აუცილებელია ავტორის მითითება, არ შეიძლება მისი გამოყენება კომერციული მოგების მისაღებად და გადაკეთებული რესურსის შემდგომი გავრ-ცელებაც ამავე ლიცენზიით უნდა მოხდეს.

ზოგჯერ ვხვდებით საჯარო საკუთრებას (Public Domain), როცა ავტორი ყოველგვარ შეზღუდვას ხსნის საკუთარი ნაწარმოების გამოყენებაზე.

ლიცენზიების ცოდნა მნიშვნელოვანია როგორც სასწავლო ობიექტების შერჩევისას, ასევე

> „განათლების სისტემისათვის ღია რესურსების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით. მათი გამოყენება ასევე ხელს უწყობს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის საზღვრების დაძლევას და სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობების ზრდას.“

საკუთარი ნაწარმოებების გამოქვეყნების დროსაც. მითითებული Creative Commons სტანდარტი ცნობილი და გავრცელებულია ინტერნეტში (იხ. http://creativecommons.org).

ღია საგანმანათლებლო რესურსებს გარკვეული შეზღუდვებიც აქვს. არაინგლი-სურენოვან ქვეყნებში მათი გამოუყენებლობა ცნობილი პრობლემაა. მის დასაძლევად რამდენიმე პროექტი ხორციელდება, რომლე-ბიც ხელს უწყობს არსებული მასალების სხვადასხვა ენაზე თარგმნას და ახალი, მრავალენოვანი რესურსების შექმნას. ამავე დროს, ინგლისური ენის სწავლა ბევრ ქვეყანაში პრიორიტეტულია, მათ შორის საქართველოშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ რესურსის მოსაძიებლად საგნის ძირითადი ტერმინოლოგიის ცოდნაც საკმარისია.

მნიშვნელოვანი საკითხია სასწავლო რესურსების ინდექსირება და კოლექციებში თუ პორტალებზე მათი განთავსება. სასწავლო რესურსების იმ პორტალებზე, რომლებსაც ოფიციალური სტრუქტურები უჭერს მხარს, სასწავლო მასალები, ძირითადად, ღია ლიცენზიებით არის წარმოდგენილი და ისეა ინდექსირებული, რომ მათი მოძიება სხვადასხვა საძიებო სიტყვით იყოს შესაძლებელი.

ქართველი მასწავლებლებისათვის ნაცნობი პორტალი LeMill.net საკუთარი სასწავლო რესურსების განთავსებისა და საინტერესო მასალების მოძიების საშუალებას გაძლევთ. LeMill-ზე რესურსების განთავსება სწორედ ზემოთ ნახსენები Creative Commons-ის ერთ-ერთი ლიცენზიის პირობებით ხდება, რაც მათ გაზიარებას თავისთავად გულისხმობს.

ღია რესურსების შესაქმნელად საჭირო ტექნიკური ინსტრუმენტები მასწავლებლე-ბისთვის სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება. ამდენად, მოსალოდნელია, რომ ღია რესურ-სების ხარისხი დაიხვეწება, გამოყენების სფეროები გაფართოვდება და უფრო მრავალფეროვანი გახდება. ამ პირობებში, სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული, რამდენად შემოქმედებითად გამოიყენებს სასწავლო მასალების წყაროებს და თვითო-ნაც იქნება ასეთი მასალების ავტორი, მით უფრო, რომ ამგვარ სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობას მასწავლებლის განვითარების პროფესიული სქემაც უჭერს მხარს.

ქეთო ნინიძე

პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები

პროექტები, რომლებიც ჩვენს სასკოლო პრაქტიკაში ინერგება, აკადემიური ბადის შემადგენელი ნაწილი, ან ექსტრა-კურიკულური კომპონენტი შეიძლება იყოს. პირველ მათგანს, როგორც წესი, ეროვნულ სასწავლო გეგმას უსადაგებენ, რაც მოსწავლის მიერ შესაბამისი ცოდნის მიღებისა და საგნობრივი კომპეტენციების ამაღლების წინაპირობა უნდა გახდეს. ექსტრა-კურიკულური სასკოლო პროექტები კი, შესაძლებელია, ეხმიანებოდეს ნებისმიერ პრობლემას ან გამოწვევას, რომელიც კლასის წინაშე დგას. ამ შემთხვევაში, არც დროში და არც მიზნისკენ მიმართული აქტივობების განხორციელების ფორმებში არ ვიზღუდებით. პროექტებზე დაფუძნებული სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ.

სასწავლო პროექტების მართვისას, ორგანიზაციული თვალსაზრისით, დასავლეთის საგანმანათლებლო პრაქტიკებში მასწავლებელი არა ხელმძღვანელის, არამედ კურატორის, ფასილიტატორის ფუნქციებით სარგებლობს. ამიტომაც, არაერთ სპეციალისტს ამ მიდგომის მიმართ ისევ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს. გარდა ამისა, პროექტზე დაფუძნებული სწავლების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ტრადიციული მეთოდების მოშველიებით, გაცილებით ნაკლები დროითი და ტექნიკური რესურსების გამოყენებით, შესაძლებელია აკადემიური მიზნების უფრო ეფექტურად მიღწევა, ვიდრე სასწავლო პროექტის ამოცანებსა და პრობლემატიკაში ჩაღრმავებით და ზემოხსენებული რესურსების არაეფექტურად განკარგვით.

არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეები გაცილებით უკეთ ართმევენ თავს პრობლემის მართვას, როდესაც კვლევას თავად გეგმავენ და საკუთარი გამოცდილებების საფუძველზე სწავლობენ. ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ ცოდნის შეძენის პროცესი მიმართული უნდა იყოს არა ზემოდან ქვემოთ – მასწავლებლიდან მოსწავლისკენ, თეორიიდან პრაქტიკისკენ, დეფინიციიდან მაგალითისკენ, არამედ, პირიქით: დასკვნები კანონზომიერების შესახებ მაგალითიდან გამომდინარე უნდა ყალიბდებოდეს.

როდესაც მოსწავლეებს ვაწვდით თუნდაც ყველაზე მარტივად ფორმულირებულ, მზა დეფინიციას ქართული ზმნის სხვადასხვა კატეგორიის შესახებ, მათი ენერგია მთლიანად მიმართულია ე.წ. „წესის“ დაზეპირებისკენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ისინი პირსა და რიცხვს, გარდამავლობას, ქცევას, კონტაქტსა და გვარს, როგორც მოვლენებს, გააანალიზებენ მაგალითების, შედარებებისა და სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოს საფუძველზე, თავად შეძლებენ თითოეული კატეგორიის რაობის განსაზღვრას. სწორედ ეს არის ინტერაქტიული სწავლების მთავარი ხიბლი, რომ მასწავლებლის

> მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ერთი მხრივ, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და ამასთანავე, მოზარდებს უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით და ანალიზურ უნარებს.

ფუნქციების მოსწავლეებისთვის ნაწილობრივი გადანაწილება მისი როლის დაკნინებას, ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას სრულებითაც არ ნიშნავს. მასწავლებელმა მოსწავლეთა აქტივობას თვალყური უნდა ადევნოს და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მათ სწორი აქცენტების დასმაში.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა სწორედ ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხია. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ერთი მხრივ, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და ამასთანავე, მოზარდებს უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით და ანალიზურ უნარებს. ისინი არჩევანის გაკეთებას და გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ. ამდენად, პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესის სადავეები მათ ხელშია. საბოლოო ჯამში, ყოველივე აღნიშნული მოსწავლეს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტიურ უნარებს, ფიზიკურ და მორალურ მხარეებს უვითარებს.

თანამედროვე საგანმანათლებლო ხედვებს შორის არანაკლებ პრობლემური და პრიორიტეტულია ინდივიდუალური მიდგომის გაძლიერება. იმ მოსწავლეებს, რომლებიც, გარკვეული მიზეზების გამო, ტრადიციული საგაკვეთილო ფორმატის (მაგ., ე.წ. „ფრონტალური კითხვების“) ჩარჩოებში თავისი უნარების რეალიზებას ვერ ახერხებდნენ, ეძლევათ შესაძლებლობა, მოძებნონ პროექტში საკუთარი ადგილი, ხოლო მათ თანაგუნდელებს – დაინახონ თითოეული თანაკლასელის (ამ შემთხვევაში, თანამშრომლის) უნიკალური ნიჭი. ინდივიდუალური მიდგომა სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების პრობლემებსაც გადაჭრის. მათი ინტერესების დაცვა და საკლასო ინტეგრაცია კი თითოეული მასწავლებლისა და კლასისათვის პრინციპულ გამოწვევად იქცევა.



მოსწავლეები ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში, როდესაც მათ ერთმანეთისგან გამიჯნული სამყაროების – სკოლისა და ყოფის – დაკავშირების შესაძლებლობა ეძლევათ. ამდენად, მოსწავლეთა დაინტერესებისა და მოტივირებისათვის მასწავლებლის მხრიდან საუკეთესო გამოსავალია სასწავლო პროექტებში მათი დაკავება. გუნდური მუშაობა მოსწავლეების პროდუქტულობის წინაპირობაა და სოციალური თამაშების საკრალური „მოედანიც“ კვლავ სკოლაში გადაინაცვლებს. საკომუნიკაციო უნარების განვითარება მნიშვნელოვანი მონაპოვარია როგორც აკადემიური და სასწავლო, ასევე ყოფითი კულტურის გამომუშავებისათვის.

მართებულია ისიც, რომ პროექტებზე დაფუძნებული სწავლება 21-ე საუკუნის უნარებს ავითარებს. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს ელექტრონული და/ან დისტანციური სწავლების როლი. დღეს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კომპიუტერულ ტექნოლოგიებს აქტიურად მოიხმარს. ზედმეტი იქნება იმის შესახებ მსჯელობა, თუ როგორ გაამდიდრებს სასკოლო პროექტებს ქართული

> „რადგან სწავლისა და სწავლების შესაძლებლობები როგორც ტექნიკური, ასევე მეთოდოლოგიური კუთხით გაფართოვდა, სასკოლო პროექტების პროდუქტი მორგებული უნდა იყოს მოზარდების გემოვნებას, ინტერესების სფეროს და წარმოდგენილი იყოს მათთვის სასურველი ფორმატით.“

და უცხოენოვანი ინტერნეტ-რესურსების გამოყენება და როგორ მრავალფეროვანს გახდის მათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტები: ტექსტური რეფერატები, დიაგრამებითა და ვიზუალური მასალით გამდიდრებული პრეზენტაციები, მედიაფაილები, თამაშები, გამოკითხვები და მისთ.

წარმატებული სასკოლო პროექტის ინდიკატორად, კვლევის პროცესის გვერდით, უპირველეს ყოვლისა, პროექტის პროდუქტი (პროდუქტები) მოიაზრება. ჩვენი აზრით, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას წლების განმავლობაში პროდუქციის ერთფეროვნება განაპირობებდა. თუ თვალს გადავავლებთ უახლოეს წარსულს, ქართული ენისა და ლიტერატურის საგანი სკოლის მოსწავლეებს ავალდებულებდა შემდეგი პროდუქტების შექმნას: მოკლე შინაარსი (ფაბულა), შინაარსი (სიუჟეტი), გეგმა, კითხვაზე პასუხი, თემა, თავისუფალი თემა. როგორც წესი, იწერებოდა ჩარჩო – ესე, შესაბამისი ფორმალური და შინაარსობრივი შაბლონებით, რაც, როგორც კულტურული მემკვიდრეობა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა სქელტანიანი რვეულების, მზა „შპარგალკების“, ან, უბრალოდ, ზეპირსიტყვიერი კლიშეების სახით. ამგვარი წერითი „კულტურის“ განვითარებას, ცხადია, ნაკლები საერთო ჰქონდა პრობლემის ანალიზთან და აკადემიური წერის პრაქტიკასთან. რა თქმა უნდა, საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემაშიც არსებობდნენ მასწავლებლები, რომლებიც ამ პროცესს შემოქმედებითად უდგებოდნენ და ზემოხსენებული შაბლონი ესეებით არ შემოიფარგლებოდნენ.

დღეს, როდესაც მოსწავლეებისგან პრობლემაზე ორიენტირებულ კვლევას ვითხოვთ, მათ უნდა შექმნან ის პროდუქტები, რომლებიც პრობლემის რაობას წარმოაჩენს და კვლევის მათსავე უნიკალურ მეთოდებს შემოგვთავაზებს. მეორე მხრივ კი, რადგან სწავლისა და სწავლების შესაძლებლობები როგორც ტექნიკური, ასევე მეთოდოლოგიური კუთხით გაფართოვდა, სასკოლო პროექტების პროდუქტი მორგებული უნდა იყოს მოზარდების გემოვნებას, ინტერესების სფეროს და წარმოდგენილი იყოს მათთვის სასურველი ფორმატით.

თუ 21-ე საუკუნის უნარებზე შევაჩერებთ ყურადღებას, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას და დისციპლინათშორისი გამოცდილებების გამთლიანებას. პრობლემა, რომელიც მოსწავლეთა კვლევის ფოკუსში ექცევა, როგორც წესი, შემოიფარგლება არა ერთი საგნის დისციპლინური ცოდნით, არამედ სხვადასხვა საგნობრივ გამოცდილებებს გადაკვეთს. მაგალითად, ქართული ხელნაწერები მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სისტემაში – ეს საკითხი შეიძლება მოსწავლეებმა მრავალი ასპექტით შეისწავლონ:

1. საკითხის კვლევის პროცესში ინფორმაციის შეგროვებისას გამოიყენონ აღწერითი მეთოდი, რაც ისტორიის საგნობრივ კომპეტენციაში მოიაზრება;
2. საფუძვლიანად შეისწავლონ ხელნაწერების შინაარსობრივი მხარე და ჟანრობრივი თავისებურებები. ეს კი, სავარაუდოდ, ქართული ლიტერატურის საგნის სწავლებას წაადგება;
3. გააანალიზონ ის ენობრივი ფორმები და სინტაქსური წყობები, რომლებიც აღნიშნული ტექსტებისთვის არის დამახასიათებელი;
4. შეადგინონ ქართული ხელნაწერებისა და კულტურული კერების მსოფლიო რუკა, რაც გეოგრაფიის საგნობრივ ცოდნას აუმაღლებთ;
5. სასურველია, პროექტის პროდუქცია წარმოდგენილი იყოს ელექტრონული ფორმატითაც, რაც, თავის მხრივ, ისტ-თან ინტეგრაციას გულისხმობს.

სასწავლო პროექტების განხორციელების შედეგად, მოსწავლეებს სხვადასხვა დისციპლინური გამოცდილების სინთეზის უნარი გამოუმუშავდებათ. ამდენად, ამ საგნების მასწავლებელთათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტურ თანამშრომლობასა და პროექტების ერთობლივ ფასილიტაციას.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო პრაქტიკაში პროექტზე დაფუძნებული სწავლება ისევ ერთ-ერთ დამხმარე სტრატეგიად განიხილება, თუმცა თუ აქტუალურ ტენდენციებს მივადევნებთ თვალს, ვნახავთ, რომ მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში დღითიდღე იზრდება. სასწავლო პროექტების ორგანიზება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ საგანმანათლებლო სისტემებში იძენს, სადაც საგნობრივი ინტეგრაციის დიდი გამოცდილება არსებობს.

გვსურს, მაგალითად მოვიხმოთ ერთ-ერთი წარმატებული პროექტი – კინორეჟისორ ჯორჯ ლუკასის მიერ დაარ-

სებული სკოლა EDUTOPIA (აშშ). სკოლის კონცეფციის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ისინი საზოგადოებას სთავაზობენ ახალ საგანმანათლებლო სამყაროს – არა უტოპიურ, რეალობას მოწყვეტილ იდეებზე დაშენებულ სისტემას, არამედ განხორციელებულ, სისრულეში მოყვანილ ერთ კერძო შემთხვევას, სადაც ნოვაცია უმთავრესი საგანმანათლებლო მიდგომაა. სოციო-ემოციურ და დისტანციურ სწავლებასთან ერთად აქ დანერგილია პროექტზე დაფუძნებული სწავლებაც. ეს კი მოსწავლეებს ეხმარება:

1. ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებაში, შეფასებასა და გამოყენებაში;
2. თანატოლებთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაში;
3. სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიურად ჩართვასა და მათთვის საკუთარი უნარების გამოვლენის შესაძლებლობის მინიჭებაში.

დღეს, ქართულ სასკოლო პრაქტიკაში, მასწავლებლები, აკადემიური მიზნების მიღწევისთვის, საკმაოდ ხშირად იყენებენ სასწავლო პროექტებს, რასაც მათი ელექტრონული პორტფოლიოებიც ადასტურებს. ჩვენ შევისწავლეთ საჯარო სკოლების მასწავლებელთა ბლოგებზე განთავსებული ათასზე მეტი სასწავლო პროექტი, რის შედეგადაც გამოიკვეთა რამდენიმე მიზეზი, რომლებიც, ვფიქრობთ, ხელს უშლის მათი დიდი ნაწილის ეფექტიანობას.

1. სასწავლო პროექტები, როგორც წესი, მასწავლებლის მიერ არის დაგეგმილი. არსად აისახება, რომ მოსწავლეები პრობლემის მართვაში რაიმე ფორმით მონაწილეობას იღებენ. ისინი მხოლოდ კვლევის შემსრულებლებად, ხშირად კი ტექნიკურ შემსრულებლებად გვევლინებიან.
2. როგორც ჩანს, სასკოლო პროექტების დიდი ნაწილი ახლო წარსულში დამკვიდრებული „ღია გაკვეთილების“ ტრადიციის გაგრძელებაა. მასწავლებლები ხშირად პროექტებს გეგმავენ არა პრაქტიკული საჭიროებისთვის, რაც სასწავლო პროექტების მთავარ უპირატესობად მიიჩნევა, არამედ ღირსშესანიშნავი, „საჩვენებელი“ დღეებისთვის. ამიტომ არის მათი პროექტები აქტუალურობას მოკლებული. სასურველია, გავაცნობიეროთ, რომ თითოეული პროექტი ჩვენს ყოველდღიურ აკადემიურ თუ აღმზრდელობით ამოცანებს უნდა პასუხობდეს (მაგ., კონფლიქტური შემთხვევის მართვა, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, ქალაქის/უბნის/ქუჩის/სკოლის ისტორიის შესწავლა და მისთ.).
3. ხშირად სასკოლო პროექტის სასწავლო მასალებისა და ტექნიკური ინსტრუმენტების ჩამონათვალში მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობისთვის შეუსაბამო რესურსებია დასახელებული. არაერთ პროექტში, რომლის მონაწილე მოსწავლეების ასაკიც დაწყებითი საფეხურის II-III კლასის ასაკობრივ ჯგუფს არ აღემატება, აქტივობების ჩამონათვალში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეები სასწავლო მასალას მოიძიებენ ინტერნეტის



საშუალებით. ამ შემთხვევაში, პროექტის ავტორი უნდა იყოს პასუხისმგებელი როგორც დამხმარე მასალების, ასევე ტექნოლოგიების გამოყენების მიზნობრიობაზე.

დასკვნის სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მისასალმებელია პროექტებზე დაფუძნებული სწავლების თუნდაც დამხმარე სტრატეგიად დამკვიდრება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. თუმცა ამ პროცესმა რომ მხოლოდ სკოლის მასწავლებელთა „მხრებზე“ არ გადაიაროს, პროცესში ჩართული უნდა იყოს სკოლის ადმინისტრაცია. მან უნდა უზრუნველყოს სკოლების მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა და როგორც ტექნიკურად, ასევე კონცეფტუალურად ნიადაგი უნდა მოუმზადოს მრავალფეროვანი სასწავლო და აღმზრდელობითი პროექტების განხორციელებას ქართულ სასკოლო პრაქტიკაში.

დავით თინიკაშვილი

ი. ლოგვინოვი

განათლების ფილოსოფია და პედაგოგიკა: დიდაქტიკოსის თვალსაზრისი

განათლების ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ურთიერთმიმართება პირდაპირ უკავშირდება პედაგოგიური კვლევების მეთოდების პრობლემას – პედაგოგიური მეცნიერების სწორედ იმ მიმართულებას, რომლის უძრაობაც, როგორც ჩანს, მთავარი მიზეზია იმისა, რომ დღემდე ინარჩუნებს ძალას ჯ. ოკონორის მიერ ჯერ კიდევ 1950-იან წლებში გამოთქმული შემდეგი შეხედულება: „ტერმინი „სწავლების თეორია“ იმ წესების შესანიღბად მოგონილი, დახვეწილი ფორმულაა, რომლებიც თითქოსდა განსაზღვრავენ პრაქტიკას” (რიჩმონდი უ. კ. მასწავლებელი და მანქანები, 1968).

მიუხედავად იმ ტექსტების ხარისხისა და რაოდენობისა, რომლებშიც ავტორები განმარტავენ დიდაქტიკის, როგორც სწავლებისა და განათლების თეორიის, შინაარსს, ყველა მათგანი, საბოლოოდ, დიდაქტიკის ინტერესთა სფეროში განათლების შინაარსის მეცნიერულ დასაბუთებას, მოსწავლეთათვის მისი გადაცემის მეთოდებსა და სწავლების ორგანიზაციულ ფორმებს მოიაზრებს.

დიდაქტიკურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული კონცეფციის შესაბამისად, სწავლების მიზნების პედაგოგიური ინტერპრეტაცია იწვევს შემდეგი ვითარების ჩამოყალიბებას: მომავალ თაობას გადაეცემა ადამიანთა სოციალური გამოცდილება, რომელიც მოიცავს ოთხ აუცილებელ კომპონენტს: „სოციალისტურ სკოლაში განათლების შინაარსი უნდა განისაზღვროს, როგორც კომუნისტურად ორიენტირებული და პედაგოგიურად ადაპტირებული ცოდნის გადაცემის სისტემა. საქმიანობის მეთოდები, შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება, ემოციურად ღირებული ურთიერთობების გამოცდილება – ეს ყველაფერი ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ამგვარ ადამიანს სოციალისტური კულტურის შენარჩუნება-განვითარება, სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა შეუძლია“.

ზედსართავებს „სოციალისტური“ და „კომუნისტური“ ვინარჩუნებ არა იმისათვის, რომ ზემოთ დამოწმებული განსაზღვრების ავტორები კომუნიზმის მიმდევრობაში დავადანაშაულო, არამედ იმიტომ, რომ ვაჩვენო შემდეგი: აქ იდეოლოგია სწავლების შინაარსისა და მიზნების ფორმულირების პროცესში უშუალოდ მონაწილეობს. ის არ არის მეცნიერება. ამ შემთხვევაში, უფრო ბუნებრივი არა ექსპერიმენტებზე, არამედ გარკვეულ იდეოლო-

გიურ მიზანდასახულობაზე დაყრდნობაა.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა ორი მიდგომა განათლების შინაარსისადმი: ფორმალური და მატერიალური. ფორმალური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლების პროცესში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებას, მის აზროვნებას, წარმოსახვასა და მეხსიერებას. მნიშვნელოვანია არა დიდი მოცულობის ცოდნის (ინფორმაციის) მიღება, მეცნიერებათა საფუძვლების ფარგლებში, არამედ ის გარემო, რომელშიც მოსწავლის გონებრივ შესაძლებლობებს მაქსიმალურად განავითარების შესაძლებლობა ეძლევა. გონების განვითარებისათვის საუკეთესო „მასალად“ კი ამ კონცეფციის ავტორებსა და მიმდევრებს მიაჩნდათ ძველი ენები (უპირველეს ყოვლისა, ლათინური და ძველი ბერძნული), ასევე მათემატიკა.

მეორე კონცეფციის – მატერიალური განათლების – მიხედვით, სასწავლო მასალის შერჩევისას მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევა სარგებლიანობის ხარისხი, მისი გამოსადეგობა მოსწავლის შემდგომ ცხოვრებაში. განსხვავებით პირველი (ფორმალური) კონცეფციის მომხრეთაგან, რომლებიც თვლიდნენ, რომ მოსწავლის გონება და შესაძლებლობები საწვრთნელი სავარჯიშოების შესრულების შედეგად ვითარდება, მატერიალური განათლების კონცეფციის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ეს შესაძლებლობები ცოდნის დაუფლების პროცესში ვითარდება, რაც განსაკუთრებულ ძალისხმევას არ ითხოვს.

ფორმალური განათლების კონცეფცია საფუძვლად დაედო ე.წ. კლასიკური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო გეგმებს, მატერიალური განათლების კონცეფცია კი თანამედროვე სკოლების სასწავლო გეგმების საფუძვლად იქცა. თუმცა თუ ყურადღებით განვიხილავთ ამ დაწესებულებების სასწავლო გეგმებს, დავინახავთ, რომ მათ შორის განსხვავება არც ისეთი დიდია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ რევოლუციამდელი გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების, ასევე ფრანგული კლასიკური და თანამედროვე ლიცეუმების სასწავლო გეგმებს გავაანალიზებთ.

როგორც ჩანს, პრაქტიკა, რომელსაც ხშირად ჭეშმარიტების ყველაზე დამაჯერებელ კრიტერიუმად მიიჩნევენ, ერთმნიშვნელოვანი არჩევნის გაკეთებაში არ გვეხმარება. რასაკვირველია, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ჯერ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გეგმა ზემოთ დასახელებულ ორ კონცეფციასთან ზუსტი შესატყვისობით, შემდეგ შეირჩევა მოსწავლეთა საკმაო რაოდენობა; მათ 10-12 წელს ასწავლიან და ამ დროის განმავლობაში აკვირდებიან მოსწავლეთა ცხოვრებას სწავლების შედეგების შეფასების მიზნით. თუმცა ეს მხოლოდ თეორიულად შეიძლება დავუშვათ. თუნდაც გადავწყვიტოთ ასეთი უპრეცედენტო ექსპერიმენტის ჩატარება, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ცხოვრების პირობები უცვლელი დარჩება, მიღებული შედეგების გამოყენება კი შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ახალი თაობის განსწავლისათვის?

„თუ გვინდა, პედაგოგიკა და დიდაქტიკა მხოლოდ პრაქტიკის შემყურე არ იყოს და მათ სამუდამოდ დააღწიონ თავი საყვედურებს, რომ ცხოვრებასა და მასწავლებელ-ნოვატორებს ჩამორჩნენ, საკუთარ თავში დიდაქტიკის ობიექტებისა და პედაგოგიური პროცესების გამარტივების შიში უნდა დავძლიოთ.“

სავსებით გასაგებია, რომ საუბარი მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობაზეა, რამდენადაც ამ საეჭვო ექსპერიმენტის პრაქტიკულად განხორციელება მთელ რიგ გადაულახავ დაბრკოლებებს გადააწყდებოდა.

არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს მიდგომა, როცა ის ავტორები, რომლებიც სწავლების შინაარსზე დამოკიდებული კონსტრუქციის პრინციპებს აღიარებენ, იმავდროულად მათ განათლების შინაარსის შერჩევის კრიტერიუმებად განიხილავენ. ასეთი მიდგომა გაიზიარეს იმ მეთოდისტებმა, რომლებმაც პედაგოგთა შეგნებაში შემდეგი აზრის შთანერგვა დაიწყეს: სასწავლო მასალა უნდა შეირჩეს შესაბამის მეცნიერებათაგან ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა მეცნიერულობა, გასაგებობა, პოლიტექნიკური განათლებისათვის მნიშვნელობის ქონა, ცნობისმოყვარეობისა და დაკვირვების უნარის განვითარების საშუალება.

დიახ, სციენტიზმი უძლურია, როდესაც საუბარია სწავლების შინაარსის განსაზღვრისა და მისი მიზნების შესახებ. თუმცა არანაკლები ზიანის მომტანია „იდეოლოგიური რედუქციონიზმი“, როცა სწავლების პროცესის კვლევა და მისი კანონზომიერებების ფორმულირება მიმდინარეობს. მაგალითებისათვის შორს წასვლა არ მოგვიწევს. ზუსტი მეცნიერებების მეთოდებით, მათემატიკური მოდელირების გზით ან განმეორებითი ექსპერიმენტების საშუალებით, საეჭვოა ყოველმხრივად განვითარებული პიროვნების ხარისხის განსაზღვრა შევძლოთ. ნაკლებად შესაძლებელია ასევე იმის გამოვლენაც, თუ რა უნდა დარჩეს მოსწავლის მეხსიერებაში მთელი დანარჩენი ცხოვრების მანძილზე და რა შეიძლება მიეცეს დავიწყებას უმტკივნეულოდ, თუკი მას სწავლის პროცესის გარკვეულ ეტაპზე აუცილებელი და ხელისშემწყობი ფუნქცია ექნება. ეს განათლების ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუნქციაა.



არ გამიკვირდება და არც უარვყოფ იმ მტკიცებას, რომ პედაგოგიური ინჟინერიის სფეროში დაგეგმარებისა და კონსტრუირებადი ექსპერიმენტების მეთოდები უნდა ბატონობდეს. თუმცა არ არის საჭირო თვალის დახუჭვა იმაზე, რომ ზუსტი მეცნიერებების მეთოდოლოგიის უარყოფა მთავარი მიზეზია იმისა, რომ ამ დრომდე (ი. კომენსკის „დიადი დიდაქტიკიდან“ ასი წლის შემდეგ) არ გვაქვს სწავლების ისეთი განვითარებული თეორია, რომელიც სკოლის წინაშე მდგარი კონკრეტული საკითხების გადაჭრას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს.

პედაგოგები, როგორც წესი, ვერ ეგუებიან დიდაქტიკური ობიექტების სპეციფიკურობისა და ასევე იმ პროცედურების გამარტივებას, რომლებიც სხვა მეცნიერებებში ობიექ-ტური ცოდნის მისაღებად



გამოიყენება. ეს კი ერთადერთი გზაა მეცნიერული ცოდნის მისაღებად. მართალია, ფიზიკოსის მსჯელობა ნაკლებად დაარწმუნებს პედაგოგს, მაგრამ ავტორს არ შეუძლია ფიზიკოს-თეორეტიკოსის, ი. ფრენკელის ციტირების სურვილისგან თავის შეკავება. აი, რას წერდა ი. ფრენკელი: „რაც უფრო რთულია სისტემა, მით უფრო გამარტივებულად უნდა გადმოიცეს მისი თეორიული აღწერილობა... ფიზიკოს-თეორეტიკოსი, ამ შემთხვევაში, ჰგავს მხატვარ-კარიკატურისტს, რომელმაც ორიგინალი უნდა გადმოსცეს არა ყველა დეტალით, მსგავსად ფოტოაპარატისა, არამედ მისი გამარტივება და სქემატიზაცია უნდა მოახდინოს იმგვარად, რომ გამოავლინოს და ხაზი გაუსვას მის ყველაზე მეტად დამახასიათებელ შტრიხებს...“ საკვლევი ობიექტის გამარტივება და ერთგვარი გაუხეშება ის ფასია, რომელსაც მეცნიერება იხდის არა მხოლოდ ჭეშმარიტების შესამეცნებლად, არამედ ასევე წინასწარგანჭვრეტის შესაძლებლობისათვის და პრაქტიკის წარსამართავად.

ამიტომ თუ გვინდა, პედაგოგიკა და დიდაქტიკა მხოლოდ პრაქტიკის შემყურე არ იყოს და მათ სამუდამოდ დააღწიონ თავი საყვედურებს, რომ ცხოვრებასა და მასწავლებელ-ნოვატორებს ჩამორჩნენ, საკუთარ თავში დიდაქტიკის ობიექტებისა და პედაგოგიური პროცესების გამარტივების შიში უნდა დავძლიოთ.

მიმაჩნია, რომ დიდაქტიკის შესახებ ყოველივე ზემოთ თქმული უკავშირდება ასევე პედაგოგიკას მთლიანობაში. აქ საჭიროა არა ახალი დასახელების ძიება (არა განათლების ფილოსოფია ან პედაგოგიკის თეორია, არა ფსიქო-დიდაქტიკა ან სწავლების თეორია, არა დაგეგმარება პედაგოგიური ექსპერიმენტების ნაცვლად), არამედ მრავალფეროვნებისა და კვლევის სპეციფიკური მეთოდების აღიარება იმ მნიშვნელოვანი საქმიანობის სფეროში, რომელიც ამჟამად ერთი ტერმინის ქვეშ ერთიანდება – პედაგოგიკა.

შემოკლებული თარგმანი
დავით თინიკაშვილისა

გია ალიბეგაშვილი

თუ სამყარო სკოლაა, მაშინ ცხოვრება პედაგოგიური პროცესია

სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემდეგ დიდაქტიკური მწერლობისადმი, მითუმეტეს, დიდაქტიკური პოეზიისადმი ინტერესი განელდა. აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ ლიტერატურათმცოდნეობაში ამ ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშად, შედევრადაა აღიარებული, მაგრამ თანამედროვე გადასახედიდან რაღა აქვს საერთო დიდაქტიკასთან „ყრმის წკეპლის ცემით კივილს“ („სწავლა მოსწავლეთა“) ან, მით უფრო, ჰაჯი-უსუბის გადაწყვეტილებას, თვითმკვლელობით ჩაეტარებინა უღირსი აღზრდილისათვის ზნეობრივი გაკვეთილი, რომელიც სხვათათვისაც ჭკუისსასწავლებელი იქნებოდა?!

დღეს პედაგოგიკა სრულიად უარყოფს პირდაპირ და ხისტ დარიგებას, რომ აღარაფერი ვთქვათ ლიტერატურაზე, რომელიც ამ თემას თითქმის აღარ ეხება; თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო.

ანტიკურ სამყაროში დიდაქტიკურ პოეზიას გამორჩეული ადგილი ეკავა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტრაგედიათა სიუჟეტებისათვის – მეტადრე იმ მონაკვეთებში, რომლებშიც ქორო მორალურ სენტენციებს გადმოსცემდა. „აღმზრდელობითი ჟანრის“ ყველაზე პოპულარული ფორმა კი იგავი იყო, თუმცა ის „მაღალ პოეზიად“ არ ითვლებოდა. ცნობილია, რომ ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა კულტურა ანტითეზებით – „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, „სიბრძნე“ და „უგუნურება“, „კანონი“ და „უკანონობა“ – საზრდოობდა. ეს კულტურები განასხვავებდნენ „მნიშვნელოვანს“ და „არარაობას“, „მთავარს“ და „ამაოს“, მაგრამ არა „ამაღლებულსა“ და „მიწიერს“. ეს უკანასკნელი ბერძნული კულტურისათვის იყო დამახასიათებელი.

ძველი ეგვიპტური სამეფოს ერთ-ერთი მოხელე ასეთ სენტენციას წარმოთქვამს: „მოიდრიკე ქედი შენი ბატონის წინაშე და სახლი შენი აყვავდება“. ამგვარ პრიმიტიულ და პრაგმატულ დარიგებაზე ალბათ უნდა გაგვეღიმოს და ამ მოხელისაგან ამაღლებულ გამონათქვამებს აღარც კი უნდა ველოდოთ, მაგრამ იქვე ვკითხულობთ: „დაკრძალულია ენამჭევრობა უფრო მეტად, ვიდრე თვალი პატიოსანი, და პოვებენ მას დოლაბებშებმულ

მონაქალში“. ესაა მშვენიერი აფორიზმი, რომელშიც ჩანს აზრის სიღრმე, სიტყვის ძალა და სულიერი ფასეულობების გამომხატველი მაღალი პოეზია.

ამგვარი სენტენციები ძველებრაული კულტურისთვისაც არაა უცხო. ძველაღთქმისეულ „სოლომონის იგავთა“ წიგნშიც დარიგებებს ორმხრივი დატვირთვა აქვს: ვხვდებით უტილიტარულ შეგონებებს (მუდამ ფხიზლად უნდა იყო მბრძანებლის ტრაპეზთან, არ უნდა გაფლანგო ფული მეძავებთან და ა.შ.), რომლებიც შორსაა პოეტური აღმაფრენისაგან, მაგრამ ამავე წიგნში არის ღვთიური სიბრძნის გამომხატველი სტრიქონებიც, რომლებშიც ადამიანი სამყაროს შემოქმედის, უფლის შესაქმის თანამონაწილეა:

> ” ისტორიასთან ერთად ადამიანს „სასწავლო წიგნად“ სამყაროც აქვს. თუ ისტორია და ცხოვრება პედაგოგიური პროცესია, ბუნება დიდაქტიკური საგნების კრებულია თვალსაჩინო სწავლებისათვის. “

„როდესაც ღმერთი ზეცას განამზადებდა,
იქ ვიყავ,
როდესაც უფსკრულის პირზე წრეს ავლებდა,
როდესაც მაღლა ცებს ამაგრებდა,
უფსკრულის წყაროებს აძლიერებდა,
როდესაც ზღვას წესს უგებდა,
რომ წყალი ნაპირებიდან არ გადმოსულიყო,
როდესაც ქვეყანას საფუძველს უყრიდა,
მაშინ მე გვერდით ვიყავ, როგორც ოსტატი,
დღენიადაგ სისრულით ვიყავ
და ყოველ ჟამს მის წინაშე ვლაღობდი,
ვლაღობდი სამყაროში მის მიწაზე
და ადამის მოდგმაში იყო ჩემი სიხარული“.



აქ ადამიანის სული, სიბრძნე „ოსტატად“, ხელოვანადაა წარმოდგენილი, რომელიც ღვთის ნებას გამოხატავს და შესაქმეში, კოსმოგონიაში იღებს მონაწილეობას. ეს სიბრძნე თავის სახლსაც იშენებს. მასში ჩანს ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსთან, რწმენასთან (ტაძართან) და საკუთარ ყოფასთან (საცხოვრებელ სახლთან). სამყაროს წესრიგი ადამის ძის სულიერებისა და ყოფიერების განმსაზღვრელი ხდება, თუმცა სიბრძნეს „უგუნური დედაკაცი“ უპირისპირდება:

„ბრძენი დედაკაცი თავის სახლს აშენებს, უგუნური კი საკუთარი ხელით ანგრევს მას“.

მართალია, ეს სენტენცია პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველგვარი ალეგორიის გარეშე უნდა გავიგოთ, მაგრამ აქ აშკარადაა მოცემული კოსმიური წინააღმდეგობა ორ პრინციპს – შერწყმასა და განცალკევებას შორის. ორივეგან – ადამიანის სახლის მცირე სამყაროში და უფლის მიერ შექმნილი სამყაროს დიად სახლში ერთმანეთის პირისპირ სიბრძნე და „უგუნური დედაკაცი“ დგანან. თუმცა აქ „სიბრძნე“ იმდენად ინტელექტს არ ნიშნავს, რამდენადაც ნებას, სულიერებას, ისევე როგორც „უგუნურება“ გულისხმობს უღვთოობას და არა მხოლოდ ინტელექტის ნაკლებობას.

თუ წარმოვიდგენთ შინაგანად თავისუფალ ადამიანს, რომელსაც სურდა, ეცხოვრა ღვთისნიერადაც და ადამიანურადაც, ეს მხოლოდ წარსულთან დაკავშირებული, ზნეობრივი ნორმის გამომხატველი სახე არ იქნება. ბიბლიური ფრაზა – „ბრიყვი სიცილის დროს ხმას აღიმაღლებს, ჭკვიანი კაცი კი წყნარად გაიღიმებს“ – ყოველი ეპოქის შესატყვისი აფორიზმია. ის, უპირველესად, სამყაროს, როგორც გადაშლილი წიგნის გააზრებას, მასში საკუთარი ადგილის ძიებასა და შეცნობას გულისხმობს. აქ ასეთი შედარებაც გამოდგებოდა: თუ სამყარო სკოლაა, მაშინ ცხოვრება პედაგოგიური პროცესია.

თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითებს ისტორიულ პროცესს დავუკავშირებთ, მაშინ აღარც

სამყაროს შეცნობა იქნება მიუღწეველი, რადგან სამყარო და ცხოვრება დიდაქტიკური სახელმძღვანელოა. ჯერ კიდევ ძველი დროის ფილოსოფოსები წერდნენ: აბა, შეხედე, ადამიანო, ციური მნათობები არ უხვევენ თავიანთი გზიდან, წლის დროები არ არღვევენ საკუთარ რიგით მონაცვლეობას, და მხოლოდ შენ, შენი უკანონო თავნებობით, კოსმიური ჰარმონიის მიღმა დგები; სხვა მაგალითიც: შეხედე ერთი, როგორ იქცევიან უგუნური პირუტყვები

> ადამიანისათვის არა მხოლოდ ისტორია, ცხოვრება და სულიერი არსებების სამყაროა უნივერსალური „გადაშლილი წიგნი“, რომლიდანაც დაუსრულებლად რაღაცას სწავლობს.

თავიანთივე ნებით – ეს მაშინ, როდესაც გონებით დაჯილდოებულ ადამიანს კანონები და აკრძალვები გჭირდება, რათა ბოროტებისაგან თავი შეიკავო.

ასე რომ, ისტორიასთან ერთად ადამიანს „სასწავლო წიგნად“ სამყაროც აქვს. თუ ისტორია და ცხოვრება პედაგოგიური პროცესია, ბუნება დიდაქტიკური საგნების კრებულია თვალსაჩინო სწავლებისათვის. ისევ ბიბლიური მაგალითი:

„მიდი ჭიანჭველასთან, მცონარავ, დააკვირდი
მის ქცევას და ჭკუა ისწავლე.
არა ჰყავს მას არც უფროსი, არც
ზედამხედველი, არც ბატონი.
ზაფხულობით იმარაგებს თავის პურს,
აგროვებს თავის საზრდოს მოსავლის აღებისას.
როდემდე უნდა გეძინოს, მცონარავ?
როდის გაიღვიძებ ძილისაგან?
მცირე ხანს გასტანს შენი ძილი,
მცირე ხანს გასტანს შენი თვლემა,
მცირე ხანს გასტანს შენი ხელდაკრეფა
დასაძინებლად.
ყარიბივით მოგადგება შენი სიღარიბე და
იარაღასხმული კაცივით – შენი გაჭირვება.
უგვანი ადამიანი, ბოროტი კაცი ცბიერი
ბაგეებით დადის,
თვალებს ჭუტავს, ფეხებით ლაპარაკობს,
თითებით ასწავლის.
ღალატია მის გულში, ავს ფიქრობს, სულ
მუდამ შუღლს თესავს.
ამიტომაც ანაზდად ეწევა უბედურებას,
ერთბაშად განადგურდება და არავინ იქნება
მხსნელი“.

თუმცა ადამიანისათვის არა მხოლოდ ისტორია, ცხოვრება და სულიერი არსებების სამყაროა უნივერსალური „გადაშლილი წიგნი“, რომლიდანაც დაუსრულებლად რაღაცას სწავლობს. ასეთად ნებისმიერი უსულო საგანიც შეიძლება წარმოგვიდგეს. ამის ნიმუშად კვლავაც მხატვრული სახე შეიძლება გავიხსენოთ: „ვუთხარი ნუშის ხეს: დაო, მიამბე რამე ღმერთზე. და ნუშის ხე აყვავდა“ (ნიკოს კაზანძაკისი).

> დღეს პედაგოგიკა სრულიად უარყოფს პირდაპირ და ხისტ დარიგებას, რომ აღარაფერი ვთქვათ ლიტერატურაზე, რომელიც ამ თემას თითქმის აღარ ეხება; თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო.



მასწავლებლის სახლი

თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1

ფრანგი მწერალი ანატოლი ფრანსი სამუშაოდ იღებდა ახალგაზრდა სტენოგრაფისტ ქალს.

– გავიგე, თქვენ კარგად შეგიძლიათ სტენოგრამის ჩაწერა.

– დიახ, ას ოცდაათი სიტყვა წუთში, მიუგო გოგონამ

– ას ოცდაათი სიტყვა წუთში? – წამოიძახა მწერალმა. – კი მაგრამ, მე საიდან მოგიტანოთ იგი?